პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

26 ნოემბერი კვირა 1972

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 278 (15491)

მოსკოვი — ჩვენი დიადი სამშობლოს გული



მოსკოვი, ფითილი მოედანი.

სსრკ 50

მეგობრობის ნათელი ფურცელი

დიდი აღფაფლობით ჩაიარა საქართველოს დღეებმა ჩვენი ქვეყნის გულში — მოსკოვში. იგი მიეძღვნა დიდნიშვნელოვან თარიღს — საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

ხუთ დღეს გაგრძელდა ეს დღესასწაული, და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წარგზავნილებმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინეს ჩვენი რესპუბლიკის სასახლმლო საქმეები, ანგარიში ჩაებარეს მოსკოველ მეგობრებს საქართველოს მშრომელების მიერ ნახევარი საუკუნის განაკლზე განვლილი საამაყო გზის შესახებ, რომელიც ნათლად არის ასახული საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

საქართველოს წარგზავნილები ეწვიენენ კრემლს, ქართული ყვავილებით, დაწნული გვირგვინებით შეამკეს ლენინის მავზოლეუმი...

საქართველოს დღეები ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში ყველა მოსკოველის ზეიმად იქცა. ისინი ინტერესით ისმენდნენ საუბრებს საქართველოს მშრომელთა ცხოვრებაზე, შრომასა და სწავლაზე, მათს ფიქრებსა და მისწრაფებებზე.

მეტად ამაღლებელი შეხვედრები ჰქონდათ ჩვენს თანამემამულეებს მოსკოველ ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეებთან, მრეწველობის დარგის მუშაკებთან.

დიდი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ დედაქალაქიდან საქართველოს დღეების მონაწილენი და ჩვენს მშრომელებს ჩამოუტანეს მხურვალე სალამი მოსკოველებიდან, რომლებთანაც ერთად ვაფენენთ მსოფლიოში პირველ კომუნისტურ საზოგადოებას, მათ დანაცხადეს, რომ ეს შეხვედრები კიდევ ერთი ფურცელია საბჭოთა ხალხის მეგობრობის ბზაზე.

საქართველოს დღეების მონაწილეთა მოსკოვური შთაბეჭდილებებზე მასალები იბეჭდება გაზეთის მეორე გვერდზე.

გულითადი მადლობა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 55-ე წლისთავის გამო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს საბჭოთა კავშირის მშრომელთა, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და დაწესებულებების კოლექტივების, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომართა მრავალი მისალოცი დეპეშა. მისალოცი დეპეშები გამოგზავნეს აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების კომუნისტურმა, ეროვნულ-დემოკრატიულმა და მემარცხენე სოციალისტურმა პარტიებმა, მთავრობებმა სახელმწიფო, პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწეებმა, დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა და ცალკეულმა მოქალაქეებმა. ამ ლირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით გამოგზავნილ მისასალმებელ წერილებში ყოველივე საუკეთესოს უსურვებენ ოქტომბრის სამშობლოს.

„საზღვარგარეთელი მეგობრები თავიანთ მისასალმებებში მაღალ შეფასებას აძლევენ წარმატებებს, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში. მისალმებებში განსაკუთრებით აღნიშნულია, რომ თანმიმდევრული და განუხრელი განხორციელება მშვიდობის ისტორიული პროგრამისა, რომელიც სკკპ XXIV ყრილობამ მიიღო და მსოფლიო პარტიკან ქმედითი ფაქტორი გახდა, გადამწყვეტად უწყობს ხელს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპების შემდგომ დამკვიდრებას, ბმვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლი მთელი პროგრესული ძალების კიდევ უფრო შეკავშირებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითად მადლობას უხდიან სსრ კავშირის ყველა მშრომელს, პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საწარმოებსა და დაწესებულებების კოლეკტივებს, კომუნისტურ, ეროვნულ-დემოკრატიულ და მემარცხენე სოციალისტურ პარტიებს, მთავრობებს, სახელმწიფო პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს, დემოკრატიულ ორგანიზაციებს, ყველა საზღვარგარეთელ მეგობარს გულთბილი მისალმებებისა და კეთილი სურვილებისათვის, რომლებიც გამოთქვეს საბჭოთა ხალხისადმი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სსრ კავშირის მთავრობისადმი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ლენინური კითხვები

ლენინგრადი, 24 ნოემბერი. (საკდესი). სმოლნის სააქტო დარბაზში დღეს გაიმართა ლენინური კითხვები სსრ კავშირის ნახევარი საუკუნის იუბილესადმი მიძღვნილი ციკლიდან. აქ შეიკრიბნენ ყველა თაობის ლენინგრადელები.

მოხსენება „სსრ კავშირის შექმნა და განვითარება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების შედეგია“ გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა **შ. ჯ. გორგაძემ.**

ჯ. ნ. კოსიგინი ესაუბრა სალემ რუბეიჯ ალის

24 ნოემბერს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ჯ. ნ. კოსიგინი** შეხვდა იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის სპიკეზიდენტო საბჭოს თავმჯდომარეს, ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოადგილეს **სალემ რუბეიჯ ალის.** საუბარში, რომელიც ბეჯითად, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, ორივე მხარემ გამოხატა მისწრაფება კიდევ უფრო განავითარონ საბჭოთა კავშირ-იემენის თანამშრომლობა როგორც ორმხრივი ურთიერთობის დარგში, ისე იმ საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტაშიც, რომლებიც სსრ კავშირსა და იემენის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას ეხება.

მხარეებმა გამოთქვეს კმაყოფილება საბჭოთა კავშირში იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტის შედეგების გამო, რაც შეეხსაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებსა და მშვიდობის განმტკიცების საქმეს. (საკდესი).

ვიზიტი დამთავრდა

25 ნოემბერს მოსკოვიდან გაეგზავნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვეული საბჭოთა კავშირში მყოფი იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის საპრეზიდენტო საბჭოს თავმჯდომარე, ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოადგილე სალემ რუბეიჯ ალი.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით იყო მორთული, სტუმრები გაცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ჯ. ნ. კოსიგინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

გამცილებელთა შორის იყო იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ალმედ სალემ აშ-შაბირი.

აეროდრომზე ჩამწერივებული იყო მოსკოვის გარნიზონის ჯარების საპატიო ყარაული. შეასრულეს ორი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნები. ჯ. ნ. კოსიგინმა და სალემ რუბეიჯ ალიმ ჩამოუარეს საპატიო ყარაულის მწყობრს.

მეგობარი ქვეყნის წარმოგზავნილები აეროდრომზე გაიცილეს დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლებმა. (საკდესი).

სალამი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **პ. ნ. დემიჩევმა** მიიღო ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები **ი. ობზინა, ვ. ბეილა,** ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე **ა. ზაზგორკა,** რომლებიც საბჭოთა კავშირში იმყოფებოდნენ 20-დან 25 ნოემბრამდე და ერთმანეთს. მეგობრულად ესაუბრა მათ.

ჩვენს ქვეყანაში ყოფნის დროს ჩეხოსლოვაკიელი ამხანაგები გაეცნენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური მუშაობის, პარტიული ხელმძღვანელობის გამოცდილებას, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებს. განიხილეს იდეოლოგიის დარგში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის თანამშრომლობის საკითხები.

მხატვართა ყრილობამ მუშაობა დაამთავრა

24 ნოემბერს მოსკოვში მუშაობა დაამთავრა რუსეთის ფედერაციის მხატვართა მესამე ყრილობამ.

იმავე დღეს გაიმართა რუსეთის სფსრ მხატვართა კავშირის გამგეობის პირველი პლენუმი. პლენუმზე აირჩიეს სამდივნო. რუსეთის სფსრ მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია გ. მ. კორჟევი, პირველ მდივნად ს. პ. ოსოვსკი. (საკდესი).

სახალხო კონტროლიორთა დიდი პამოცანები

23 ნოემბერს თბილისში გაიმართა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური თათბირი, რომელმაც განიხილა სახელმწიფო გეგმების შესრულების, მათი განსორციელებისადმი კონტროლის გაძლიერების საკითხები, სახალხო კონტროლის მუშაკთა უმნიშვნელოვანესი ამოცანები.

მოხსენება „რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოების ამოცანები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმების შესრულებისადმი კონტროლის გაძლიერების საქმეში“ გააკეთა რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ შ. კპპარაძემ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ: თბილისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტს თავმჯდომარე შ. ჯანჯღავა, აჭარის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ა. ანთაძე, ქუთაისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ძიწაძე, რუსთავის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. კობახიძე, ახალციხის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ო. მმსხლიძე, წითელწყაროს სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე რ. თეთვაძე, ჯორის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ს. სუფლიანი, საგარეჯოს სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ბილაშვილი.

მომხსენებლებმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის მრეწველობამ 101,6 პროცენტით შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის 10 თვის გეგმა.

ამასთან ერთად, როგორც ხაზგასმით აღინიშნა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, მთლიანად დამაკმაყოფილებელ მაჩვენებლებს მიღმა იმალება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებში წარმოების დაბალი დონე, ბევრი საწარმოს საქმიანობას ახასიათებს უყაირათობა და უპასუხისმგებლობა. დამაკმაყოფილებელი არ არის ნორმირების, აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობა, ნედლეულისა და მასალების ხარჯვის კონტროლი. არ სრულდება სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა, ძირითადი ფონდებისა და სიმძლავრეების ამოქმედების გეგმა, სახალხო მეურნეობაში ჯერ კიდევ სუსტად ინერგება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, ცუდად არის ორგანიზებული ვაჭრობა და საყოფაცხოვრებო მომსახურება.

ორატორებმა ანალიზი გაუკეთეს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტების მუშაობას და აღნიშნეს, რომ ბევრ ადგილას სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების შესრულებისადმი კონტროლი ფორმალურ ხასიათს ატარებს და საკმაოდ ეფექტიანი არ არის.

თათბირზე აღინიშნა, რომ სახალხო კონტროლის ორგანოების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის ობიექტების მშენებლობის, დროულად საექსპლოატაციოდ გადაცემის, საშენი მასალების რაიონალურად ხარჯვის საკითხები, სოფლად კი მიწათსარგებლობის წესების ზუსტად დაცვის საკითხები. საჭიროა მხარი დავუჭიროთ მასიური შემოქმედებითის ინიციატივას, მაქსიმალურად გამოვიყენოთ შინაგანი რეზერვები, უპირველეს ყოვლისა ვიზრუნოთ ხარისხის მაჩვენებლებისათვის, წარმოების ინტენსიურობის გადიდებისათვის.

ორატორებმა ხაზგასმით აღინიშნეს, რომ სახალხო კონტროლის ორგანოებმა ეფექტიანად ებრძოლონ ბიუროკრატიზმს, ადგილობრივ ორგანოებთან ერთად ეზრუნონ ადამიანთა ყოველდღიური საჭიროებებისა და დამსახურებისადმი ყურადღებიანი მოპყრობისათვის.

ორატორებმა ხაზგასმით აღინიშნეს, რომ სახალხო კონტროლის ორგანოებმა ეფექტურად ებრძოლონ ბიუროკრატიზმს, ადგილობრივ ორგანოებთან ერთად ეზრუნონ ადამიანთა ყოველდღიური საჭიროებისა და დამსახურებისადმი ყურადღებიანი მოპყრობისათვის.

ზეიმი მარჯანიშვილის სამშობლოში

ყვარელი. 25 ნოემბერი. (საქინფორმის კორ.). საზეიმოდ გამოიყურება დღეს ყვარელი. თბილი, მზიანი დღეა. ტრანსპარანტები, პანნოები ამშვენებს ქუჩებს, მოედნებს, სახლებს. ეხინი მოგვითხრობენ ქართველი ხალხის სამამაყო შვილის, გამოჩენილი რეჟისორის, ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებლის კოტე მარჯანიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ათასობით ყვარელელი და სტუმარი, რომლებიც აქ ჩამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, თბილისიდან, მეზობელი რაიონებიდან შეიკრებნენ ყვარლის უძველესი ციხის გალავანში. იმპროვიზირებულ სცენაზე ადგილებს იკავებენ რესპუბლიკის ხელმძღვანელი, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, ჩვენი ქვეყნის ხელოვნების, ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

ტრიბუნაზე არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი შ. ბერიკაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე შ. სირაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე შ. ლეკაშვილი და სხვები.

საზეიმო სიიუბილეო მიტინგი შეესავალი სიტყვით გახსნა პარტიის ყვარლის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. დავითაშვილმა.

სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი. მან აღნიშნა, რომ კოტე მარჯანიშვილის სახელი მშიდროდაა დაკავშირებული ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ხალხების კულტურასთან. მარჯანიშვილმა ახზარდა რეჟისორების და მსახიობების მთელი თაობა, რომლებიც სახელოვნად განაგრძობენ ღირსეული მასწავლებლის ტრადიციებს.

აღფრთოვანებული სიტყვა წარმოთქვა მოძმე უკრაინის წარმომადგენელმა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ოლდა კუსინკომ. მან აღნიშნა, რომ მარჯანიშვილის სახელგანთქმულმა დადგმებმა საბჭოთა კავშირის თეატრების სცენებზე უდიდესი როლი შეასრულეს და ღირსეული ადგილი დაიკავეს საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარების ისტორიაში.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვ. ზოძიაშვილმა, ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დირექტორმა ი. ბერეშვილმა, ყვარლის კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორმა მ. ანასაშვილმა, ყვარლის ქინძმარაულის მეგვანახეთის საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდა მეგვანახეთ ფ. ნაპირელმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ი. რუსინოვმა, ყვარლის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელმა ნ. ფოლაშვილმა. სიტყვებში მოგონებით გამოვიდა დიდი რეჟისორის თანამედროვე, რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი ი. ზაუტაშვილი.

მიტინგის შემდეგ გაიმართა სახალხო სანახაობა, რომელიც ასახავდა დიდი რეჟისორის ბავშვობას, ყრმობას და თეატრალურ მოღვაწეობას. მასში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა თვითმოქმედმა კოლექტივებმა. მარჯანიშვილის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობებმა წარმოადგინეს ფრაგმენტები კოტე მარჯანიშვილის სპექტაკლებიდან „მზის დაბნელება საქართველოში“, „ურიელ აკოსტა“.

ათასობით მშრომელმა დაათვალიერა კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმი. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია დიდი შემოქმედის მოღვაწეობისადმი მიძღვნილმა ახალმა ექსპოზიციამ, რომელიც დღეს გაიხსნა.

ზეიმმა გვიან ღამემდე გასტანა.



დიადი იუბილეს წინ

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის იუბილეს მოსამზადებელი რესპუბლიკური კომისიის სხდომა

რეგორც ყოველთვის, საყოველთაო სახალხო დღესასწაულების დღეებში, ვ. ი. ლენინის ნაანდერძევი ტრადიციისამებრ, საბჭოთა ადამიანები არა მარტო აჯამებენ გაკეთებულს, არამედ ყურადღებას მიაპყრობენ გადაუჭრელ ამოცანებს. სწორედ ამ პოზიციით განიხილეს გაწეული ბუშაობა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის იუბილეს მოსამზადებელი რესპუბლიკური კომისიის სხდომაზე, რომელიც 24 ნოემბერს გაიმართა. სხდომას თავმჯდომარეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ა. ჩურკინი.

სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის შრომითმა კოლექტივებმა, რომლებმაც სოციალისტური შეჯიბრება გაშალეს მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. ათვისებულია ახალი სახეობის მანქანები, მოწყობილობის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, დავალების დამატებით გამოშვებულია მილიონობით მანეთის სამრეწველო ნაწარმი. მიუხედავად არახელსაყრელი ამინდის პირობებისა, სოფლის მეურნეობის ზოგიერთმა დარგმა წელი მაღალი მარჯენებლებით დაამთავრა.

მაგრამ, ხაზგასმით აღინიშნეს სხდომის მონაწილეებმა, რესპუბლიკის, მრეწველობა და სოფლის მეურნეობა თავიანთ შესაძლებლობებზე ნაკლებად მუშაობენ. მაგალითად, მოსახლეობის წინაშე ვალში არიან ინდუსტრიის მთელი რიგი დარგები, რომლებიც უშვებენ მასობრივი მოთხოვნის პროდუქციას, სახალხო მოხმარების საქონელს. ნაწარმის ხარისხი მაღალი არ არის, მთლიანად როდი კმაყოფილდება მრავალფეროვან და იაფ საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილება.

თუმცა სოფლის მეურნეობის პროდუქტებით თბილისისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების მომარაგებაში ფვალსაჩინო ძვრები მოხდა, მაგრამ ზოგიერთი სახეობის პროდუქცია, კერძოდ, მეფრინველეობის მეურნეობათა პროდუქცია, ჯერჯერობით შეფერხებით იგზავნება.

საქართველოს დედაქალაქის მომარაგება დღითიდღე გაუმჯობესდება. ღღესასწაულისათვის თბილისელები მიიღებენ დიდძალი ახალ ბოსტნეულს, ხილს, ხორცის, რძისა და საკონდიტრო ნაწარმს, გაუმჯობესდება მათი ასორტიმენტი. ამასთან საჭიროა გახორცელებდეთ ეფექტიან ღონისძიებებს ვაჭრობაში ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად, **მტკიცე პოლიტიკურ** მუშაობას ეწეოდეთ კერძომესაკუთრული გადმონაშთებისა და სხვა უარყოფითი მოვლენების დასაძლევად, ძალღონეს არ ვიშურებდეთ, რათა ჩაეუნერგოთ ადამიანებს შეურიგებელი დამოკიდებულება ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო შეხედულებებისა და ქცევებისადმი. თბილისი უნდა გახდეს საბჭოთა საზოგადოებრივი წესრიგისა და მაღალი კულტურის ქალაქი, როგორც ეს ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებაში. „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზმორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.

სხდომაზე გამოსულებმა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. გოლაშვილმა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ ო. ჩერქეზიამ ილაპარაკეს აგრეთვე ბმ ღონისძიებებზე, რომლებიც საბჭოთა სახელმწიფოს იუბილესთან დაკავშირებთ ხორციელდება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა თბილისში გაიმართება 15 დეკემბერს. ამ სხდომაში მონაწილეობას მიიღებენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორები, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწენი, საქართველოს ყველა რაიონიდან და ავტონომიური რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ დ. ჯოგოხიამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგემ გ. ბედინეიშვილმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგემ ე. სეხნიაშვილმა ილაპარაკეს, თუ როგორ სრულდება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის დასახული ღონისძიებათა გეგმა იდეოლოგიური მუშაობის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში. სსრ კავშირის ხალხთა პოეზიის დღეებმა ჩვენს რესპუბლიკაში, საქართველოს დღეებმა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, ამიერკავკასიის მეცნიერთა შეხვედრებმა და ბევრმა სხვა ღონისძიებამ თვალსაჩინოდ ცხადყვეს საბჭოთა ადამიანების შეკავშირება, ჩვენი სამშობლოს ხალხთა მეგობრობა და ძმობა.

აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტებმა შემოშავეს სსრ კავშირის 50 წლისთავისათვის მზადების ერთობლივი გეგმა. ინფორმაცია ამ გეგმის შესრულების შესახებ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. გოგიჩაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ საიუბილეო წელს უფრო ფართოდ გაიშალა სამი მოძმე რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების შეჯიბრება. გაცილებით მეტი ყურადღება ეთმობა სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში მიღწეულ წარმატებათა პროპაგანდას.

სამეცნიერო და თეორიულმა კონფერენციებმა, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების სამეცნიერო და თეორიულ კონფერენციებმა, გაერთიანებულმა სესიებმა ქვეყნის სხვა ქალაქების წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომლებიც ბაქოში, ერევანსა და თბილისში გაიმართა, განიხილეს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით იდეოლოგიური მუშაობის თეორიისა და პრაქტიკის, მშრომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები. განაზოგადეს მეცნიერული საქმიანობის გამოცდილება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ ფ. ლუდუაშვილმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგემ ი. ქედიშვილმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგემ ო. აბესაძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობის, საგეგმო და საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგემ შ. ბერიანიძემ ილაპარაკეს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის ცალკეული დარგების მუშაობაზე, იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს სამოქალაქო, სახალხო-სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა.

ინფორმაცია სადღესასწაულო ვაჭრობის შესახებ გააკეთეს საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა ვ. თოხაძემ და ცხოვრების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ქებაძემ.

სხდომის შედეგები შეაჯამა ა. ჩურკინმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საიუბილეო წლის წარმატებებმა არ უნდა დაგვიბრმავოს გადაუჭრელი ამოცანები. ამ დღეების მაღალი შრომითი ენთუზიაზმი როგორც ესტაფეტა, უნდა გადაეცეს მომდევნო წელს.

ხუთწლიანი გეგმის დიდი ამოცანები მოითხოვენ მთელ ძალ-ღონეს, მაღალ შეგნებულობასა და საქმის ერთგულებას. პირადი პასუხისმგებლობა დაკისრებული სამუშაოსთვის ყოველდღიურად უნდა იგრძნოს თვითეულმა კომუნისტმა. თვითეულმა ხელმძღვანელმა, ყველა მუშაკმა. ამასთან მკაცრად უნდა დავსაჯოთ ის მუშაკები, რომლებიც არღვევენ პარტიულ და სახელმწიფო დისციპლინას, ბოროტად იყენებენ სამსახურებრივ მოვალეობას.

საჭიროა პარტიული შეურიგებლობით ბომოვიფხვრათ ნაკლოვანებანი, დავრაზმოთ მშრომელთა მასები პარტიისა და მთავრობის დირექტივების უთუო შესრულებისთვის, ყოველნაირად განვამტკიცოთ სახელმწიფო, პარტიული, სამეურნეო და შრომის დისციპლინა. (საქინფორმი).

დღეს ენგურჰესის მშენებლობაზე



აინთო მერვე ჩირაღდანი

იუბილემდე დარჩენილი დღეები ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე დამკვრელურად არის გამოცხადებული. ყველაფერი კეთდება ამისათვის, რომ მეცხრე ხუთწლედის ბოლოს ენგურმა საექსპლოატაციო საგზური მიიღოს.

მიუხედავად დიდი სიძნელეებისა წარმატებით გრძელდება თაოსანი კაშხალის ბეტონის სამუშაოები, თანდათან იკვეთება კაშხალის კონტურები.

თაღოვანი კაშხალის აგებამდე ქვეყანას სამსახურს გაუწევს ვარდნილი ჰიდროელექტროსადგურების კასკადი, რომელსაც მდინარეების რეჩხისა და ერისწყლის მიერ შექმნილი ხელოვნური ზღვა კავშავს. **20 ნოემბერს ენგურჰესელებმა რიგით მერვე გამარჯვება იზეიმეს. № 4 ვარდნილჰესზე ელექტროდატვირთვა მიიღო 20.000 კილოვატი სიმძლავრის მერვე აგრეგატმა, რომელმაც გამოცდა ფრიადზე ჩაბარა და ამჟამად მთელი დატვირთვით მუშაობს.**

მერვე აგრეგატის ვადაზე ადრე ამუშავების საქმეში თავი გამოიჩინეს ჰიდრომშენებელმა ინჟინერმა ი. ზლეპკომ, ვ. ტროფიმოვმა, ენგურჰესის მშენებარე კასკადის დირექციის მთავარმა ინჟინერმა ექსპლოატაციის დარგში კ. ცინცაძემ, მემონტაჟეებმა ი. კვარაცხელიამ, ბ. ქეცბაიამ, ენგურჰესის მშენებლობის მთავარი ინჟინრის მოადგილემ ნ. კაპტიძაძემ.

№ 4 ვარდნილჰესზე ჩქარი ტემპებით მიმდინარეობს ბოლო აგრეგატის მონტაჟი, რიგით მეცხრე ამ აგრეგატის ამუშავებით დამთავრდება ვარდნილჰესების მშენებლობა.

ლ. ბარქაია,
გაზეთ „კომუნისტის“ საგუშაგოს უფროსი ენგურჰესის მშენებლობაზე.

მოსკოვი — ჩვენი დიადი საერთაშორისო გული

შთაბეჭდილებებს გვიზიარებენ მოსკოვში საქართველოს დღეების მონაწილენი

მაღლობა დედაქალაქს

სსრკ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ჩატარებულმა საქართველოს რესპუბლიკის დღეებმა, ჩვენი საშობლოს დედაქალაქის ბაბუშკინისა და ძერჟინსკის რაიონების წარმომადგენლებთან შეხვედრებმა, მოსკოვის ინსტიტუტების, საწარმოებისა და სხვა ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერებამ ყველა ჩვენგანზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

ხაბეჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის, მისი არსებობისა და შემდგომი განვითარების ამ ხაოგელთაო ისტორიული მნიშვნელობის ფაქტთან დაკავშირებული ჩვენი ხალხის ერთიანობისა და ძმობის გამომხატველი ზეიმი მარად დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის.

მოსკოველთა აღფრთოვანება, მათი გულშიჩამწვდომი თბილი სიტყვები ჩვენი ხალხების ძმობაზე, მოგონებები რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის ტრადიციულ ისტორიულ ურთიერთკავშირზე, მეხსიერებაში აღდგენილი დიდ სამამულო ომში ხაბეჭოთა ხალხის მიერ გამოჩენილი გმირობა, ხაბეჭოთა საქართველოს ხახალხო მეურნეობისა და კულტურის ფრონტზე მიღწეული შედეგების დემონსტრაცია — ეს რამ შექმნა ამაღელვებელი, ხაზეიმო ვითარება, ყველაფერ ამაში ნათლად გამოსჭვივოდა ხაბეჭოთა ხალხის ძმობის, მეგობრობისა და ერთიანობის ლენინური ეროვნული პოლიტიკის სიდიადე.

განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო იური ბოგატირევის ხახელობის სამხედრო-ხაპატიო აკადემიაში მოწყობილი შეხვედრა. ამ აკადემიაში, რომელიც უმაღლესი კლასის სამხედრო კადრების ხამშვედლოა, ისეთი გრძნობა გვქონდა, თითქოს თვით იური ბოგატირევი გვეხახმა, რომელმაც კაცობრობის არსებობის ისტორიაში პირველმა შეაღო კოსმოსის კარი. ჩვენ შესაფერისად აღვნიშნეთ ხაბეჭოთა ხალხის ამ შესანიშნავი შვილის, გაგარინის ხსოვნა, რომელმაც ხიცოცხლე შესწირა ხაბეჭოთა ქვეყნის მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესს და მის ტრიუმფს.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამედიცინო ტექნიკის ხაკავშირო სამეცნიერო-ხაკვლევ და გამოსაცდელ ინსტიტუტში ჩვენ გაეცანით ამ დარგში წარმოებულ მეცნიერულ ხამუშაოთა დონეს.

მოსკოველ მეცნიერებსა და კონსტრუქტორებს, რომლებმაც თავიანთი მიღწევებით მსოფლიოში დიდი ხახელი მოიხვეჭეს ხამედიცინო ტექნიკის განვითარების დარგში, ბუმანური ხაქმიანობით დიდი განძი შეიტანეს ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისა და მისი დაქვეითებული ფუნქციების აღდგენაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა ხაშუალებით.

თუ გავითვალისწინებთ, იმას, რომ მოსკოვი არის უდიდესი ხამეცნიერო პოტენციალის მქონე ცენტრი, ცენტრი, რომელიც ხშირად განაპირობებს აქტუალურ გამოკვლევათა მიმართულებას მსოფლიო მასშტაბით, გასაგები ხდება ის ინტერესი, რომელიც გამოვლინდა ხაუბრებზე საქართველოში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მსჯელობის ხაკითხების ირგვლივ.

ჩვენი მასპინძლების გამოსვლებში აღინიშნებოდა ხაქართველოს რესპუბლიკის მეცნიერთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და ყველა მშრომელთა მიღწევების ღირსეული — მაღალი შეფასება.

ხაუურადღებოა, რომ ჩვენი რესპუბლიკის მიღწევები მოსკოვში კარგად არის ცნობილი, რადგან ბევრი დიდმნიშვნელოვანი, აქტუალური სამეცნიერო თემატიკა, რომელიც საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებებში სრულდება, ყოველთვის მოსკოველთა მხედველობის არეში იმყოფება, და ამიტომ ჩვენი მიღწევებისათვის დედაქალაქის სწავლულთა და სპეციალისტთა შეფასებას დიდი ფასი აქვს.

უნდა ითქვას, რომ მოსკოვში ჩატარებული ჩვენი სასაუბრო თემატიკა მრავალმხრივი იყო. არ დარჩა ჩვენი რესპუბლიკის თითქმის არცერთი დარგი მეცნიერების, კულტურის, მეურნეობისა და სხვა, მეგობრული მსჯელობის საგანი რომ არ გამხდარიყო.

ჩვენი რესპუბლიკისა და ხაბეჭოთა კავშირისადმი გულწრფელი მადლიერებისა და სიმპატიის გრძნობებით ვიდექით ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის კაბინეტში, რომლის ერთ-ერთ კედელზე მბრუნავი რუკა გიჩერებულია კავკასიისა და ამიერ-კავკასიის ახორკამაზე. ამ რუკაზე ხელით გაკეთებულმა ფანქრის წარწერებმა წარმოდგენა მოგვცა, თუ რაზე ფიქრობდა მსოფლიოს პროლეტარიატის ბელადი ვ. ი. ლენინი თავისი სიცოცხლის ბოლო დღეებში.

ეს რუკა ჩვენთვის არის ნაანდერძევი, რომ შემდგომშიც წმინდად დავიცვათ ჩვენი დიადი ხამშობლოს ხალხთა მეგობრობის ერთიანობისა და მონოლითურობის ლენინური ტრადიციები.

გ. დოლიძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა ხაბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის ხახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

ილია ვეკუა,

აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

სითბო მეგობრობისა

დამთავრდა საქართველოს დღეები მოსკოვში ხალხსა მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელთა, მეცნიერული და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები შინ დაბრუნდნენ ყოველივე იმის შთაბეჭდილებით, რაც ჩვენ ვიხილეთ, მოვისმინეთ, ვიგრძენით ჩვენი ხამშობლოს დედაქალაქში.

შთაბეჭდილებანი უაღრესად მრავალფეროვანი და მკაფიოა. ყოველი დღე უაღრესი შინაარსით იყო ავსებული: მჭიდროდ შედგენილ პროგრამაში ცარიელი ადგილები არ ყოფილა. ყოველივე ამისათვის მადლიერი ვართ ჩვენი მასპინძლების — მოსკოვის ბაბუშკინისა და ძერჟინსკის რაიონების პარტიული ორგანიზაციებისა. მათ ჩინებულად მოაწყეს ყველაფერი, გამოიჩინეს განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობა, დიდი ყურადღება ჩვენდამი.

სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ნ. იაგოდკინი, ჩემ მიერ დასახელებული პარტრაიონების მდივნები ა. კოსტენკო და მ. ობლოგინი, ხახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დირექტორი, ლენინური პრემიის ლაურეატი, პროფესორი კ. მიხაილოვი მთელი ეს დღეები ჩვენს გვერდით იყვნენ. მეგობრული, გულთბილი იყო მათი მოსალმებანი თვით გამოფენაზე შეხვედრისას, პარტიის ბაბუშკინის რაიონულ კომიტეტში მიღებისას.

დელეგაციის ბევრი მონაწილე, მათ შორის საქართველოს სსრ მინისტრთა ხაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ვადატკორია, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე დ. გოგოხია და სხვები, არაერთგზის გამოდიოდნენ მოსკოველების წინაშე, უამბობდნენ ხაბჭოთა საქართველოს მიღწევებზე ხამეურნეო და კულტურული განვითარების ყველა დარგში. შეგაგალითად, მომისდა ხახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მოწყობილ პრესკონფერენციაზე და პარტიის რაიკომში გამართულ მიღებაზე მოკლედ გამეცნო დედაქალაქის ხაზოგადოებრიობის წარმომადგენლებისათვის ქართველ მეცნიერთა უანგარო წლების ძირითადი მიღწევები. სხვადასხვა ორგანიზაციებში მოხსენებებით გამოდიოდნენ დელეგაციის მონაწილენი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები მ. მირიანაშვილი, ა. გუნია, პროფესორები მ. ლორთქიფანიძე, ზ. ინაბაძე, ზ. კოლანდაძე, და ხასიამოვნო იყო, რომ პარტიის ბაბუშკინისა და ძერჟინსკის რაიკომებში გულთბილად იგონებდნენ ქართველ მეცნიერებთან შეხვედრებს მოსკოვში საქართველოს მეცნიერების დღეების ჩატარების დროს და კერძოდ შეხვედრებს ნ. მუსხელიშვილთან.

საქართველოს მეცნიერთა კოლექტივებს, ქართველ მეცნიერებს მოსკოვთან მუდმივი და ხშირად ძალიან მჭიდრო კავშირურთიერთობა აქვთ. ეს ურთიერთობა ემყარება საერთო ინტერესებს და ხშირად განმტკიცებულია ერთობლივი მუშაობით უმნიშვნელოვანესი პრობლემების ჯადაჭრაზე.

საქართველოს დღეებმა მოსკოვში შესაძლებლობა მოგვცა გაგვეფართოებინა მოსკოველებთან ურთიერთობის წრე, შევხვედროდით მშრომელთა სხვადასხვა წრეების წარმომადგენლებს და სიხარულით დავწერეთ ხელმოწერები იმაში, თუ რა დიდი ინტერესით ეკიდებიან ჩვენს რესპუბლიკას, მისი ცხოვრების ყველა მხარეს, ჩვენს კულტურას, მიღწევებს, ჩვეულებებს.

ჩვენი ხაუბრები, შეხვედრები, გამოსვლები მომდინარეობდა გულწრფელი მეგობრობის, დიდი ერთიერთმოსწონობის, თავიისუფალი ურთიერთობის ატმოსფეროში.



მოსკოვის სართულები. მარცხნივ — ვ. მუხინას ქანდაკება.
ვ. სობოლევის ფოტო. (საკლასის ფოტოკორონეა).

ᲛᲐᲠᲐᲓ ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

სიუვარულით დაგვატყვევეს

ᲐᲖᲒᲝᲜᲠᲝᲑᲐᲨᲘ ძვირფასი რა არის? მასსოვს დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეები, როცა ვეარაგ მტერზე გამარჯვებისათვის ეროვნად ვიბრძოდით რუსები, უკრაინელები, ქართველები, აზერბაიჯანელები და ხაბეჭოთა დიადი ქვეყნის ყველა ერის წარმომადგენლები. სწორედ ხამამულო ომმა ჩამოაყალიბა ჩემში ინტერნაციონალური სულისკვეთება, ყველაზე კარგად მაშინ შევიგრძენი, თუ რა არის მეგობარი, მისი თბილი გული და დამხმარე ხელი.

უაღრესად გულთბილი მეგობრობის გამომხატველი იყო ჩვენი შეხვედრა მოსკოველ მეგობრებთან, რომელიც ამ დღეებში ბაბუშკინის ბაბუშკინის ხალხებს. ხუთი დღის განმავლობაში ჩვენ გარემოსილი ვიყავით რუსი მეგობრების დიდი ყურადღებით, პატივისცემის გრძნობით. იქ ჩვენი თავი შინ ვგრძნობდა. მოსკოველებს ჩვენი მიღწევების შესახებ მოვუყვეთ, სოლო ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებმა თავიანთი შემოქმედება აჩვენეს, რამაც დედაქალაქელი მეგობრები აღფრთოვანებებში მოიყვანა.

ზემო ქედში გვყავს **რუსი** მეგზელი პეტრე დმიტრევი, რომელიც ადრე მტს-ში მუშაობდა მექანიზატორად. მტს-ის გაუქმების შემდეგ კი ჩვენთან დარჩა და ალალი მრომით ზემოქედელებთან მეგობრულად ცხოვრობს. პეტრეს ქართული წესის მიხედვით საკარიდამოზე ვენახი გაეშენა და ყოველწლიურად ჩინებულ ღვინოს აყენებს. მისი სახლის კარი, ისევე როგორც მისი ქართველი მეზობლებისა, ყოველთვის ღიაა. ეს ძმობა და მეგობრობა დიდი ოქტომბრის მონაპოვარია და მას თვალისჩინებით ეფერთხილდებით.

მოსკოვში, საქართველოს დღეების დროს, ჩვენ ბევრი საინტერესო და სამახსოვრო ვნახეთ. ვიყავით ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში და ვგრძნობთ შეუგამეთ იგი. ინტერესით დავათვალიერეთ ლენინის კაბინეტ-მუზეუმი, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, გვერგვინით შეგამეთ შოთა რუსთაველის ძეგლი მოსკოვში, ამაღელვებელი იყო ჩვენი დელეგაციის შეხვედრა ჭ. მოსკოველ ძერჟინსკიასა და ბაბუშკინის რაიონების მოწინავე საწარმოებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაკებთან.

ᲔᲠᲗᲘᲐᲜ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ

სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ღირსეული ადგილი უჭირავს საქართველოს სს რესპუბლიკას, მის წარმატებებს, მის ადამიანებს, მის სიმდიდრეებს. ყველაფერი ეს გამხმეტყველია ახალი, ნათელი და ბედნიერი ცხოვრების სუნთქვით.

რაც ვნახეთ, რაც განვიცადეთ, ჩემთვის დაუვიწყარია იმიტომ, რომ ეს შესაძლებელი გახდა ძმობითა და მეგობრობით, ლენინიზმის ცხოველმყოფელი იდეების ზეიმით.

ჩვენ შეგვედით ლენინის მავზოლეუმში, სადაც მივიტანეთ დიდ გვირგვინად დაწნული ქართული ყვავილები წარწერით „დიდ ბელადს ხაბჭოთა საქართველოს მშრომელებისაგან". ეს იყო ლენინისადმი ქართველი ხალხის თავისებური ხალამი და უღრმესი მადლობა, ლენინისადმი, რომელიც მამობრივად ზრუნავდა ქართველ ხალხზე.

საქართველოს დღეების მონაწილეებმა მოწიწებით დაგათვალიერეთ ვ. ი. ლენინის ხამუზეო კაბინეტი, სადაც ბელადი წერდა თავის გენიალურ ნაშრომებს... ვლადიმერ ილიას-ძის ბიბლიოთეკა ეს წიგნთა მთელი ხამყაროა; ბიბლიოთეკის 89 განყოფილებაში დაახლოებით ცხრა ათასი წიგნია. წიგნთა შორის ჩვენ ვნახეთ ინგლისი გამოცემები საქართველოზე — 1923 წელს თბილისში გამოცემული საქართველოს კომპარტიის პირველი ყრილობის მასალების კრებული, საქართველოს ისტორიისადმი მიძღვნილი მხატვრული წიგნები, აქ არის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი".

ჩვენ გავირინდეთ, ფიქრებში ჩაგიძირეთ უცნობი ჯარისკაცის საფლავთან. მის აკლდამაზე, კრემლის კედელთან ანთია მარადიული ცეცხლი. საქართველოს ყვავილები მოეფინა ყველა ჩვენგანისათვის ძვირფასს საფლავს. უკვდავია ხაბჭოთა ხალხის გმირი შვილი.

ავტობუსებით წავედით ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩაზე, სადაც ულამაზეს ხკვერში აღმართულია შოთა რუსთაველის ძეგლი, რომელიც ვეარგვინებით შეგამეთ. დელეგაციის წევრებმა ძეგლთან მეასრულეს საქართველოს უძველესი სიგალობლები. ამ დროს მე მაგონდებოდა რუსთაველის ბრძანება ლეგენდა: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ნიდად".

არაერთი ძმური და მეგობრული შეხვედრები გვქონდა დედაქალაქის მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლებთან, ძერჟინსკიისა და ბაბუშკინის რაიონების მშრომელებთან.

მე მოხარული ვარ, რომ ერთხელ კიდევ მომეცა შესაძლებლობა მეხსნა დიდებული მოსკოვი, ხახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა. შეგვეგზავნა ჩვენს ფიქრებსა და გრძნობებზე. საქართველოს დღეები მოსკოვში ეს იყო ნამდვილი ხახალხო ზეიმი.

მ. ხვარწკია,
საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის ხაოლქო კომიტეტის მდივანი.

ᲛᲐᲠᲐᲓ ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

ᲨᲔᲠᲛᲝᲔᲯᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ყოფნისას ორჯერ მომისდა გამოსვლა დედაქალაქის მშრომელთა წინაშე. ერთხელ დომოდედოვოს ერთ-ერთ საბჭოთა მეურნეობაში, მეორედ ხელოვნების სახლში. მაგრამ ათჯერაც რომ გამოვსულიყავი, სალაპარაკო არ შემომელიოდა, რადგან მსმენელები განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ, ათასნაირ კითხვას იძლეოდნენ, პინტერესებდათ თბილისის მეტროპოლიტენის დღეანდელობა, მომავალი.

მე, როგორც მეტრომშენებელს, მოსკოველებთან განსაკუთრებული რამ მაკავშირებს. ჩვენ სწორედ მოსკოველ სპეციალისტთა დახმარებით შევძელით თბილისის მიწისქვეშა ტრასების აგება. მოსკოველი მეტრომშენებლებისაგან ბევრი რამ ვისწავლეთ. ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში აითვისეს მეტროპოლიტენის მუშაკებმა ბევრი პროფესია, მერე ჩამოვიდნენ ჩვენთან სამუშაოდ.

მაგრამ როცა თბილისელი და მოსკოველი მეტრომშენებლების ახლო ურთიერთობის ამ ჭეშმარიტად მეგობრულ, ძმურ კავშირურთიერთობას ვიგონებენი, იმაზეც სიამაყით მოვუთხრობდი მოსკოველებს, რომ გუშინდელი მოსწავლეები; დღეს ჩვენ თვითონ ვასწავლით, ვეხმარებით სხვებს, რომ ჩვენი მუშაობის გამოცდილებას იზიარებენ ბაქოელი, კიეველი და თვით მოსკოველი მეტრომშენებლებიც კი.

მოსკოვში ჩემს ბევრ კოლეგასაც შევხვედი. ამ შეხვედრების დროს ჩვენი საუბრის შთაგარი თემა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის მზადების ამ გადამწყვეტი პერიოდის მუშაობის მიმდინარეობა იყო. გვინტერესებდა როგორ სრულდება საიუბილეოდ ნაკისრი ვალდებულებები. ამ დროს მე სიამაყით მოვუთხრობდი ჩვენი ბიტების შესახებ, რომლებიც დამკვრელურად შრომობენ მეტროპოლიტენის ახალი ხაზის მშენებლობაზე საბურთალოს მიმართულებით. გვირაბგამყვანთა ბრიგადამ, რომელსაც მე ვხელმძღვანეობდი, საოჯახო ღონისძიებებზე ერთ-ერთ ადგილი ეჭირა. ბევრ ადამიანს ეგონა, ალბათ, ეს ადგილი ადვილად ეჭირა. ეს ადგილი ადვილად ეჭირა. ეს ადგილი ადვილად ეჭირა.

შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თათბირი

27-25 ნოემბერს თბილისში მიმდინარეობდა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თათბირი სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლების შედარების ერთიანი მეთოდიკები.

საქონფორმის კორესპონდენტმა სთხოვა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელს ვ. მაშენკოვს გაეცნო თათბირის შედეგები და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის დარგში შემდეგი თანამშრომლობის პერსპექტივები.

საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ხელმძღვანელობით, თქვა ვ. მაშენკოვმა, სოციალისტური ქვეყნების მთელმა რიგმა ინსტიტუტებმა წინა ხუთწლეულში განახორციელეს კვლევა სასოფლო-სამეურნეო შრომის ნაყოფიერების გაანგარიშების მეთოდების სრულყოფისათვის, მისი ზრდის რეზერვების გამოვლინებისათვის. ჟორნალის მეცნიერთა თათბირზე და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის ეკონომიურ საკითხთა მუდმივმა სამუშაო ჯგუფმა ურჩია სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებს განაგრძონ კვლევა თემის მიხედვით მიმდინარე ხუთწლეულშიც, მოამზადონ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლების შედარების ერთიანი მეთოდიკის პროექტი.

თათბირზე სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებმა ერთმანეთს გაუზიარეს სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გაანგარიშების გამოცდილება.

მათ აღნიშნეს, რომ შრომის ნაყოფიერების გასაზომად საჭირო მაჩვენებლების სისტემის გამოყენება. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ყველა წევრ ქვეყანაში ფართოდ იყენებენ შრომის ნაყოფიერების ნატურალურ მაჩვენებლებს. სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების დონის ანალიზისა და განსაზღვრისათვის თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს შრომის ნაყოფიერების მაჩვენებელი, რომელიც საერთო პროდუქციის მიხედვით გაანგარიშება.

იმასთან დაკავშირებით, რომ იზრდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის როლი სასოფლო-სამეურნეო შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპების დაჩქარებაში, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს შრომის ნაყოფიერების გაანგარიშება წმინდა პროდუქციის მიხედვით. თათბირზე ყურადღება დაეთმო იმას, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს უფრო სრულად აღირიცხოს პროდუქციის ხარისხი. შრომის ნაყოფიერების განსაზღვრისას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა სამუშაო დროის დანაპარჯის აღრიცხვა კაც-საათებში.

სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის, სამრეწველო საფუძველზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების განვითარების პირობებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს უფრო სრულად გავითვალისწინოთ სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების დანახარჯები.

თათბირზე განიხილეს და მოიწონეს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლების შედარების ერთიანი მეთოდიკის პროექტის ძირითადი დებულებანი, რომლებიც ერთად მოამზადეს საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაკებმა სოციალისტური ქვეყნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მუშაკებთან ერთად. თათბირმა დააჯალა საბჭოთა დელეგაციას დასასრულის პროექტის დამუშავება შენიშვნების გათვალისწინებით და გადასცეს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებს პრაქტიკული გამოყენებისათვის.

25 ნოემბერს ხელი მოაწერეს სამუშაო თათბირის ოქმს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლების გაანგარიშების საკითხებზე.

(ხალენფორმი).

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

ყალბისმქნელები

რედაქციას უკაკუნებენ საქართველოს კპ ტყიბულის საქალაქო კომიტეტი

გაზეთ „კომუნისტის" 17 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელშიც მნილებული იყო ტყიბულის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს სამშენებლო-სამონტაჟო უბნის ხელმძღვანელების დანაშაული.

საქართველოს კპ ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. გოცირიძემ რედაქციას აცნობა, რომ შემოწმების შედეგად სტატიაში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. სამშენებლო-სამონტაჟო უბნის უფროსი თ. ჯიშიაშვილი მოიხსნა თანამდებობიდან და საქმე გამოსაძიებლად გადაეცა ადმინისტრაციულ ორგანოებს.

საქართველოს კპ ტყიბულის ქალაქკომის ბიურომ სამშენებლო-სარემონტო უბნის ყოფილი უფროსი თ. ჯიშიაშვილი გარიცხა სკკპ წევრთა რიგებიდან, უბნის პარტბიუროს მდივანს ს. ბაბრიჭიძეს კი გამოუცხადა საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით.

ქ. ტყიბულის პროკურატურას დაევალა დროულად დაამთავროს საქმის გამოძიება.

თვალს ნუ მოვარიდებთ

ამ სათაურით გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა რეიდის მასალა, რომელშიც მნილებული იყო თბილისის საკოლმეურნეო ბაზრების არსებული ნაკლოვანებანი.

ამ წერილთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საკოლმეურნეო ბაზრების სამმართველომ რედაქციას აცნობა:

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საკოლმეურნეო ბაზრების სამმართველომ განიხილა „კომუნისტის" წერილი „თვალს ნუ მოვარიდებთ". ეს წერილი განიხილეს აგრეთვე რაიონების საკოლმეურნეო ბაზრების კოლეგიებმა.

რეიდის მასალებში დასახელებული ფაქტები მთლიანად დადასტურდა.

შემოწმებით გამოვლინებულ იქნა სხვა დარღვევებიც. სპეკულანტები მიცემული არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის სამუშაოდან მოიხსნა კიროვის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის დამის მეკუპონეე, ლ. პაპიაშვილი, ხოლო ამავე ბაზრის ღამის მეკუპონეე ო. მატახელია გადაყვანილულია სამუშაოდან მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის გამო.

აქვე გაცნობებთ, რომ პარტიის კიროვის რაიონის ბიურომ სამსახურიდან მოხსნა კიროვის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის დირექტორი შ. კარკუშაშვილი, ხოლო პარტბიუროს მდივნობიდან გადათავისუფლა ნ. ერაძე, ადგილკომის თავმჯდომარეობიდან — ზ. კობერიძე, ხოლო სასალონო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარეობიდან დ. ფრუიძე. მათგე დაედოთ მკაცრი პარტიული სასჯელი. საკოლმეურნეო ბაზრის დირექტორის მოადგილის ვ. გოგლიძის საკითხი განხილული იქნება დამატებით.

ბაზრების სამმართველომ სასტიკი საყვედური გამოუცხადა თბილისის ცენტრალურ, 26 კომისრის სახელობისა და კიროვის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრების კონტროლიორებს: ა. სარქისოვს, დ. თოიძეს, ს. ავეტისოვს, ა. საფაროვს, დ. ზაბიოლს. ნაკლოვანებებისათვის მკაცრად იქნა გაფრთხილებული 26 კომისრის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის დირექტორი ი. ჩოხელს გამოეცხადა საყვედური.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ბაზრების სამმართველომ დასახა ღონისძიებანი საკოლმეურნეო ბაზრებში მტკიცე წესრიგის დამყარებისათვის, არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

(საქონფორმი).

ლენინური კურსით

„ტრიბუნა ლუდუ" ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და სტატიების მესამე ტომის შესახებ

 სოფია, 24 ნოემბერი. (საკდესი). „ტრიბუნა ლუდუმ" გამოაქვეყნა რეცენზია ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და სტატიების მესამე ტომის შესახებ სათაურით „ლენინური კურსით".

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებში სრულად ასახული და განვითარებულია სოციალიზმის მშენებლობის ლენინური იდეები და წერს, რომ ამ ნაშრომებში გაშუქებულია თანამედროვე მსოფლიოს ძირითადი ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური პრობლემები, განსაკუთრებით ისეთი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო მუშათა მოძრაობის, სოციალისტური თანამეგობრობის განვითარებასთან, კოლონიური ხალხების განმთავისუფლებელ ბრძოლასა და საერთაშორისო ურთიერთობასთან.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და სტატიების მესამე ტომში შესული დოკუმენტები განასახიერებენ საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას, ნათქვამია რეცენზიაში, ლ. ი. ბრეჟნევის ნაშუშევრებში განხილულია, როგორც სუფთა თეორიული, ისე პრაქტიკული ხასიათის ბევრი პრობლემა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამოცდილება სოციალიზმის მშენებლობასა და მშვიდობისათვის ბრძოლაში და ამ გამოცდილების საფუძველზე ჩამოყალიბებული ძირითადი დასკვნები და განზოგადებანი სერიოზული წვლილია მარქსიზმ-ლენინიზმის განვითარებაში. მათ დიდი იდეოლოგიური მნიშვნელობა აქვთ, რადგან ადასტურებენ, რომ რევოლუციური თეორია ემსახურება რევოლუციურ პრაქტიკას.

იუნესკოს პრემია — საბჭოთა მეცნიერს

პარიზი, 24 ნოემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციის (იუნესკო) გენერალურმა დირექტორმა რ. მაიომ საზეიმო ვითარებაში ბოდაცა იუნესკოს საერთაშორისო სამეცნიერო პრემია თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიისა და ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ვ. ა. კოვდას.

პროფესორ უ. ა. კოვდას ეს პრემია მიენიჭა ნიადაგმცოდნეობის, კერძოდ მიწების მორწყვისა და მელიორაციის დარგში მეცნიერული გამოკვლევების კომპლექსისათვის.

იუნესკოს საერთაშორისო სამეცნიერო პრემიას ანიჭებენ ორ წელიწადში ერთხელ ამ ორგანიზაციის გენერალური კონფერენციის სესიის დროს.

საფრანგეთი. ბევრაუშვ ქვეყნის თითქმის უკიდურეს ჩრდილოეთში მდებარე ხამრეწველო ცენტრ ვალანსიენის ერთ-ერთ გარეუბანში, ხაზეიმო ვითარებაში გაიხსნა საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ძეგლი. ბევრაეის მუნიციპალური ხაბჭოს გადაწყვეტილებით ვ. ი. ლენინის ბიუსტი დაიდგა ამ პარკის ტერიტორიაზე, რომელსაც მსოფლიოში უდიდესი რევოლუციის ბელადის სახელი უწოდეს. ვ. ი. ლენინის ეს ბიუსტი, შესრულებული ხაბჭოთა მოქანდაკის ნ. ა. ანდრეევის მიერ, სსრ კავშირის მთავრობის საჩუქარია ბევრაეის კომუნისტებისადმი.

ხურათზე: ვ. ი. ლენინის ძეგლის გახსნა. ო. პარასუკის ფოტო. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲣᲠᲚᲕᲔᲕᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

სოფია. 24 ნოემბერი. (საკდესი). აქ გაიმართა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სამინისამინისტროს სახალხო კავშირის მუდმივი საკრებულოს, სამამულო ფრონტის ეროვნული საბჭოს, სახალხო კრების, სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს გაერთიანებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ოფიციალური მეგობრული ვიზიტის შედეგების განხილვას. საანგარიშო მოხსენება ვიზიტის შესახებ გააკეთა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ტ. ჟივკოვმა.

ბულგარეთ საბჭოთა კავშირის მეგობრობა, თქვა მან, ბულგარეთის განვითარების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია, მასთან მჭიდროდ დაკავშირებულია ბულგარეთის ყველა მიღწევის კეთილდღეობის და ბედნიერება, ბულგარელი ხალხის დღევანდელი და ხვალინდელი დღე.

ტ. ჟივკოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სკკპ ცენტრალურ კომიტეტს შორის, ისევე როგორც ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ხელმძღვანელებს შორის არ არის საკითხი, რომელზეც არ ჰქონდეთ საფუძვილი ერთნაირი შეხედულებანი. მოვლენებისადმი კლასობრივ-პარტიული, მეცნიერული მიდგომა და ჩვენი ინტერესების, მიზნებისა და ამოცანების ერთობლიობა — აი რითი ბიჭნება ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის სრული ერთიანობა, ერთსულოვნება და ურთიერთმოქმედება. სსრ კავშირისა და ბულგარეთის ერთგულება სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი საუკუნეებს აძლევს ჩვენს ქვეყნებს ორგანულად შეახამონ თავიანთი ეროვნული და ინტერნაციონალური ინტერესები.

მაღე შესრულდება 27 წელი, რაც ევროპაში მშვიდობაა. ეს, აღნიშნა ტ. ჟივკოვმა, არის ჩვენი დიდი გამარჯვება, დიდი გამარჯვება ლენინური საგარეო პოლიტიკისა, ამ დარგში სოციალისტური ქვეყნების, და უპირველეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის. მისი კომუნისტური პარტიის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ღონისძიებებისა, რომლის სახელსა და მოღვაწეობას დღეს მთელი მსოფლიო სამართლიანად უკავშირებს საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პროგრამას, საბჭოთა კავშირის პარტიული და სახელმწიფო ორგანოების აქტიურ და მიზანდასახულ საქმიანობას, ნარმატებებს მშვიდობისათვის, უშიშროებისა და პროგრესისათვის ბრძოლაში.

გაერთიანებულმა სხდომამ მიიღო განცხადება, რომელშიც იწონეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის საქმიანობას სსრ კავშირში ვიზიტის დროს და მაღალ შეფასებას აძლევს მის მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებთან.

დელეგაციის ვიზიტმა სსრ კავშირში, გამართულმა მოლაპარაკებამ და მისმა შედეგებმა, ნათქვამია განცხადებაში, კვლავ მკაფიოდ დაადასტურეს ბულგარეთის კომპარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ბულგარელი და საბჭოთა ხალხების ერთიანობა და ძმობა, კრასტალურად წმინდა მეგობრობა.

საბჭოთა კავშირის ბრძნული და შორსმჭვრეტელი, კლასობრივ-ინტერნაციონალისტური საგარეო პოლიტიკა, რომელიც ხორციელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც ლ. ი. ბრეჟნევი მეთაურობს, ხაზგასმულია განცხადებაში, მიზნად ისახავს მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის, ხალხთა თავისუფლებისა და სამუშაოებისა და დამოუკიდებლობის დაცვას. იგი კონფლიქტებისა და ომის კერების ლიკვიდაციის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, ევროპასა და მთელ მსოფლიოში უშიშროების საიმედო სისტემისა და ფართო თანამშრომლობის შექმნის გადამწყვეტი ფაქტორია. საბჭოთა კავშირის დიდი საერთაშორისო აუტორიტეტის, მსოფლიოს რევოლუციურ გარდაქმნაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სსრ კავშირის მასიერი და სსრ კავშირის მსოფლიო-ისტორიული როლის აღიარების მკაფიო დადასტურებაა ის დიდი აღმავლობა, რომელიც ყველა ქვეყნის მშრომელები, მთელი პროგრესული კაცობრიობა ეგებებიან სსრ კავშირის სახელოვან 50 წლისთავს.

განცხადებაში გამოთქმულია მხურვალე მადლობა სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისადმი, ბულგარელი ხალხის დიდი მეგობრისადმი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი გულისხმიერებისა და ჩვენი ქვეყნის პრობლემების გაგებისათვის, იმ ფასდაუდებელი ძმური დახმარებისათვის, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას.

ჩვენი უმაღლესი მოგალეკიანა, ნათქვამია განცხადებაში, კვლავაც განუკანაცვლებელ და ყოველი ღონისძიებით ვაჯიათარებდეთ ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ცხოველმყოფელ მეგობრობას, რომელიც სოციალისტური ბულგარეთის ყოველმხრივი აღმავლობის პირობა და გარანტია. ყველა ბულგარელი კომუნისტისათვის და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა მშრომელისათვის საბჭოთა კავშირი იყო და კვლავაც არის სოციალიზმის, თავისუფლებისა და მშვიდობის მთავარი ბურჯი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია — საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის უდავო ავანგარდი, ხოლო მათდამი დამოკიდებულება — პროლეტარიული ინტერნაციონალიზმის, მარქსიზმ-ლენინიზმის, საერთაშორისო მუშათა კლასის საქმის ერთგულების უმაღლესი კრიტერიუმი.

ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲠᲗᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲩᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲙᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘᲗᲘ

ვარშავა. 24 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთი „ეიზე ვარშავა" განმარტავს ალბანეთის უარს — მონაწილეობა მიიღოს მრავალმხრივ კონსულტაციებში უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მომზადების თობაზე და წერს:

ძნელი არ არის იმის გაგება, ხალხან ერის ქარი. ალბანეთი ამ შემთხვევაში, თუმცა არა მარტო ამ შეხედულებისა, იზიარებს ჩინეთის ხელმძღვანელთა თვალსაზრისს. ჭეკინი უკვე დიდი ხანია ეწევა კამპანიას ევროპაში დაძაბულობის შენელების ყოველგვარი ეამოვლინების წინააღმდეგ და ამიტომ ვამოდის ჩვენს კონტინენტზე უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე თათბირის წინააღმდეგ.

ალბანეთის მთავრობამ, რომელიც მოქმედებს მეკინის ჩაგონებით, გადაწყვიტა ბოიკოტი გამოუცხადოს ქელსინკის მოლაპარაკებას. რა თქმა უნდა მისი ბოიკოტი სრულიადაც არ იზიარებენ კონსულტაციების შედეგებზე და არ შეცვლის იმ ფაქტს, რომ ალბანეთი მაინც მდებარეობს ევროპაში, და არა აზიაში.

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲛᲐ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲐ

ნიუ-იორკი, 23 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესმა სასამართლომ ასალი ორლენანის საოლქო პროკურორს ჯ. ჰარისონს აუკრძალა განაგრძოს 1965 წელს დალასში მომხდარი პრეზიდენტ კენედის მკვლელობის გარემოებათა გამოძიება. უმაღლეს სასამართლოს ამ გადაწყვეტილების არავითარი მოტივი არ მოუყვანია.

როგორც ცნობილია, თავისი გამოძიების ფარგლებში ჯ. ჰარისონმა სასამართლო საქმე აღძრა ბიზნესმენ კ. შოუს. წინააღმდეგ და ბრალად დასდო პრეზიდენტ კენედის მკვლელობის მიზნით შეთქმულებაში მონაწილეობა. ჰარისონის ვერსიის თანახმად, კენედიზე თავდასხმისათვის მზადება მიმდინარეობდა ლუზიანის შტატში და უწინარეს ყოვლისა ახალ ორლეანში.

პრეზიდენტ კენედის მკვლელობის გარემოებათა გამოძიებას საოლქო პროკურორი კერძო წესით ეწეოდა.

ყოველგვარი გამოძიება მთავრობის დონეზე მიიჩქმალეს უორენის კომისიის მოხსენების გამოქვეყნების შემდეგ, რომელიც ცდილობდა საქმე ისე წარმოდგინა, თითქოს კენედიზე თავდასხმა ყოფილიყოს არა შეთქმულების შედეგი, არამედ მარტოხელა მკვლელის ოსვალდის საქმე.

შეეხო რა უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებას, ჰარისონმა ახალ ორლეანში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა: „ახლა, როცა ხელისუფლებმა მოახერხეს ჩემი უკანასკნელი საქმის დახურვა, საფუძველი არა მაქვს დავუშალო ხაზოგადოებრიობას პრეზიდენტ კენედის მკვლელობის ჩემთვის ცნობილი ფაქტები და გარემოებანი".

ჰარისონის აზრით, „კენედის მკვლელობა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ინიციატივით გულმოდგინედ მომზადებული და დაგეგმილი შეთქმულება იყო". ლი ოსვალდი გამოიყენეს „განტევების ვაცად". ხელისუფლებმა სცადეს იგი წარმოედგინათ „მემარცხენედ" სიმამდვილეში კი ოსვალდი ამერიკის შეერთებული შტატების სადაზვერვო სამსახურის თანამშრომელი იყო, აღნიშნა ჰარისონმა. მისი თქმით, „1963 წლის 22 ნოემბერს თავდასხმის წინ ოსვალდი მიიყვანეს დალასის სასკოლო სახელმძღვანელოების საწყობში და იგი გახდა ის ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც ხელისუფლებმა მსოფლიოს ხაზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშორეს თავიანთ პროფესიონალ მკვლელებს".

Ჯ. ᲡᲘᲜᲓᲖᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

დელი. 24 ნოემბერი. (საკდესი). ინდოეთმა მიიღო პაკისტანის წინადადება, რომ გაიმართოს ორმხრივი მოლაპარაკება მათს ტერიტორიაზე ორი ქვეყნის სამოქალაქო თვითმფრინავების ფრენის განახლების თაობაზე. ეს დღეს ცენტრალური პარლამენტის სახალხო პალატაში განაცხადა ტურიზმისა და სამოქალაქო ავიაციის მინისტრმა კარან სინგჰმა.

ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ

ᲠᲐᲓᲔᲜᲘᲛᲔ დღის წინათ, კვირას, 19 ნოემბერს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები.

ეს არ იყო რეგიონი პოლიტიკური კამპანია, რომელიც პერიოდულად ემართება ამა თუ იმ კაპიტალისტურ ქვეყანაში.

19 ნოემბერს ფედერაციული გერმანიის მოსახლეობას პასუხი უნდა გაეცა ერთ კარდინალური, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ისტორიული მნიშვნელობის საკითხზე, თუ საით წავიდოდა ფედერაციული რესპუბლიკა, როგორი იქნებოდა მისი ბედი და ხვედრი.

გერმანელები დიდი შემოქმედი ხალხია. სამამული ომის დროს მისაუბრია გერმანელ ტყვეებთან. გერმანელები საკვირველად ესამება ერთმანეთს რაციონალიზმი, პრაქტიციზმი და არც თუ იშვიათად, გულუბრყვილო, რეაქციული რომანტიზმი, რომლითაც თავის მიზნებისათვის სარგებლობენ ისეთი ტიპები, როგორიც ჰიტლერი იყო. გერმანელთა გარკვეული ნაწილის ხასიათის შესახებ შესანიშნავად დაწერა თომას მანმა თავის ბრწყინვალე ნარკვევში „ჭერმანია და ჭერმანელები".

გერმანია ბეთოვენის, გოეთეს და შარქსის სამშობლო იყო, და ამავე დროს გერმანელებმა შობეს ჰიმლერი, გებელსი, თუ შტრაუსი. ასეთი პარადოქსები სხვაგანაც ხდება, ოღონდ, გერმანიაში ისინი, საკვირველი მკაფიობით ჩრქნენ თავს.

ჯოდ, ფედერაციულ გერმანიაში 19 ნოემბერს ერთმანეთს შეეცილა ორი ძალა — ერთი რეალისტურად მოაზროვნე ადამიანები, მეორე მხრივ კი რეაქციული ზმანებებით ატაცებული „ლაინ ბიუროკერები" — პატარა ბიუროკერები რომელთა მოქმედებას ამ საუკუნეში ყოველთვის დირიჟორობდნენ მსხვილი კაპიტალის წარმომადგენლები.

ფედერაციული გერმანია კაპიტალისტური სახელმწიფოა, გერმანიის სოციალ-დემოკრატია, მათი დღევანდელი ხელმძღვანელი, უეჭველად დინამიკური პოლიტიკოსი ვილი ბრანდტი, კერძოსაკუთრებრივი, მათთვის წმიდათაწმიდა პრინციპის, ორტოდოქსალური მიმდევრები და დამცველები არიან. ისე როგორც ყველგან, ფედერაციულ გერმანიაში, სოციალ-დემოკრატები გარკვეულ, ჩვენთვის სრულიად საწინააღმდეგო იდეოლოგიურ პოზიციებზე დგანან.

ეს ასეა — ოღონდ ვილი ბრანდტი და მის გარშემო შემოკრებილი მოღვაწენი პოლიტიკური რეალიზმის გზას დაადგნენ. ბარცელ-შტრაუსშრედერის გუნდმა კი ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალება მოისურვა და ამიტომაც დამარცხდა.

ვილი ბრანდტისათვის ცხადი გახდა, რომ საბჭოთა კავშირი, მსოფლიო სოციალისტური სისტემა, რომლის შემადგენლობაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკაც შედის — ეკონომიურად, პოლიტიკურად, სამხედრო პოტენციალით უძლეველი სამყაროა.

რადგან ასეთი-რეალური ისტორიული სიტუაცია შეიქმნა, ბრანდტმა და მისმა კოლეგამ თავისუფალ დემოკრატთა კავშირიდან შეეტა საჭიროდ დაინახეს სათანადოდ წარემართათ ფედერაციული გერმანიის საგარეო პოლიტიკა. ბრანდტს სხვა ალტერნატივა არ ქქონდა: ან მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან, სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან, რეალურად არსებული და ძლიერი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობა, ანდა კონფრონტაციის სრულიად გაკოტრებული პოლიტიკის გაგრძელება. ბრანდტმა და შეელმა კონფრონტაციის მოლაპარაკების პოლიტიკა ამჯობინეს, და სათანადო ხელშეკრულებებიც დადეს სოციალისტურ ქვეყნებთან. აი ასეთ რეალურ პოლიტიკას დაუჭირა მხარი ფედერაციული გერმანიის მოსახლეობის უმრავლესობამ.

საგულისხმოა, რომ ვილი ბრანდტს აქტიურად დაუჭირა მხარი ფედერაციული გერმანიის ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილმა, კერძოდ მწერლებმა, მათ შორის ნობელის პრემიის ლაურეატმა ჰინრიხ ბიოლმა. საქართველოს მწერალთა კავშირში საუბრის დროს მან დადებითი შეფასება მისცა ვილი ბრანდტს, საგარეო ე. წ. „ოსტპოლიტიკას" — აღმოსავლურ პოლიტიკას, საბჭოთა კავშირთან, სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან ნორმალური დამოკიდებულების აღდგენის ხაზს.

1972 წლის 19 ნოემბერს უჩვეულოპოლიტიკური აქტივობა სუფევდა ფედერაციულ გერმანიაში. ამომრჩეველთა 91,2 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა ბუნდესტაგის შემადგენლობის განსაზღვრაში. გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ ხმების 45,9 პროცენტი მიიღო, ბუნდესტაგში ასლა მას 230 დეპუტატი ეყოლება, მათს პარტნიორებს თავისუფალ დემოკრატებს 42 მანდატი ექნებათ. ამრიგად გერმანიის სოციალ-დემოკრატების და თავისუფალ დემოკრატთა პარტიის კოალიციას ბუნდესტაგში სოლიდური უმრავლესობა ეყოლება, 496 დეპუტატიდან 272 მათი წარმომადგენელია.

ბარცელ-შტრაუსის პარტია დამარცხდა, თუმცა მათ ამომრჩეველთა ხმების 44,8 პროცენტი მიიღეს. ფრანც-იოზეფ შტრაუსის პარტიამ კათოლიკურ ბავარიაში ხმების 55 პროცენტი შეაგროვა.

ბარცელ-შტრაუსის პარტიის ბობოლა კაპიტალისტებმა ასობით მილიონი მარკა დაახარჯეს. მათ მხარს უჭერდნენ „შავი პრესის" ყბადაღებული მაგნატი შპრინგერი, მიუხედავად ამისა, რეაქციული ზოვინისმსა ამჯერად ფედერაციული გერმანიის მოსახლეობის უმრავლესობის იდეოლოგიად არ იქცა.

ვილი ბრანდტს და შეელს მხარი დაუჭირა 4-8 მილიონმა 18-23 წლის ახალგაზრდამ, რომლებმაც მხოლოდ წელს მიიღეს საარჩევნო ხმის უფლება. სიმპტომატური მოვლენაა, რომ ახალგაზრდობის დიდმა უმრავლესობამ ზურგი აქცია ცივი ომის დამაბულობის პოლიტიკას.

საინტერესოა საარჩევნო კამპანიის ზოგიერთი დეტალი. ბარცელის პარტიაში მეორე კაცად ვერჰარდ შრედერი ითვლებოდა. მას ბარცელის კაბინეტში საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი უნდა დაკავებინა. შრედერმა ამას წინათ ჩინეთში იმოგზაურა. ამომრჩეველებმა შრედერს უნდობლობის ვოტუმი გამოუცხადეს. ის ბუნდესტაგის დეპუტატი ალარ არის. იგივე დაემართა შილერს, რომელმაც უალატა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და ქრისტიან დემოკრატების ბანაკს შეაფარა თავი. როგორც ცნობილია, თავისუფალ დემოკრატთა ყოფილმა თავმჯდომარემ ერიმ მენდემ მიატოვა თავისი პარტია და ბარცელს მიეკედლა. მასაც შრედერის და შილერის ბედი ეწია...

გერმანიის გმირული კომუნისტური პარტია ანტიკაპიტალისტური, ანტიმონოპოლისტური, სავსებით ნათელი პრინციპიული პოზიციებიდან ეწოდა თავის საარჩევნო კამპანიას. კომუნისტური პარტია პირველად იღებდა მონაწილეობას ბუნდესტაგის არჩევნებში. ადენაუერ-ერჰარდ-კიზინგერის კანცლერობის დროს კომუნისტური პარტია არალეგალური, პოლიციური ტერორის პირობებში მუშაობდა. დასავლეთ-გერმანელთა კომუნისტურ პარტიას არ ჰქონდა და არც შეიძლებოდა ჰქონოდა ის უზარმაზარი მატერიალური, ფინანსური შესაძლებლობანი, რომელნიც ბურჟუაზიული პარტიების განკარგულებაში იყო. მიუხედავად ამისა, კომუნისტურმა პარტიამ მაინც მიიღო 114 ათასი ხმა.

ამრიგად, ფედერაციული გერმანიის მოსახლეობის უმრავლესობამ ამჯერად უარყო ავანტიურები, რევანში, ომი და აირჩია სხვა ხალხებთან მოლაპარაკების პოლიტიკა.

ვნახოთ მომავალი რას გვიჩვენებს!

Შ. ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜ

„ბანდეგილი“ ოპერის სცენაზე

1972 წლის 25 ნოემბერს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა მაყურებლებს უჩვენა სულხან ცინცაძის ერთმოქმედებიანი ოპერა „განდეგილის“ პრემიერა. ოპერის ლიბრეტო ი. ჭავჭავაძის იმავე სახელწოდების პოემის მოტივების მიხედვით დაწერა პ. გრუზინსკიმ. დადგმა ეკუთვნის რეჟისორ გ. ჟორდანიას, დირიჟორია ვ. ფალიაშვილი, მხატვარი — ი. ასკურავა. ოპერაში როლებს ასრულებდნენ ნ. მკერვალიძე და კ. ფირცხალავა.

ამავე საღამოს ნაჩვენები იქნა წარმოდგენა ს. ცინცაძის ერთმოქმედ ბალეტ „პოემისა“ დიდი სამამულო ომის თემაზე. ლიბრეტოს ავტორი და დამდგმელია ა. ჭიჭინაძე, დირიჟორი — გ. გოცირიძე, მხატვარი — ი. მარკოვიჩი.

სურათებზე: მარცხნივ—სცენა ს. ცინცაძის ოპერა „განდეგილიდან“. როლებში: განდეგილი — კ. ფირცხალავა, მწყემსი გოგონა — ნ. მკერვალიძე; მარჯვნივ — სცენა ს. ცინცაძის ბალეტ „პოემიდან“. ჭაბუკის პარტიას ასრულებს ვ. აბულაძე, ქალიშვილისას — ს. აბულაძე.

პ. საპაკოვისა და ბ. რუხაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ციმბირიდან ბარათი მოვიდა

მათ ასახელეს საქართველო

ზესტაფონი. (საკ. კორ.). კვალიფიკაციამ რვეგზ ლომაძემ და ძირულელმა გიორგი გაჩეჩილაძემ ორ-ორი წელი დაჰყვეს საბჭოთა არმიაში და ამ ზაფხულს ვალმოხდილნი დაუბრუნდნენ შობლიურ კერას, როგორც კვალიფიციური, დაოსტატებული მძღოლები.

დემობილიზებულ ჭაბუკებს შესთავაზეს მონაწილეობა მიეღოთ მოსავლის აღებაში — ომსკის ოლქში. ისინი სიამოვნებით გაემგზავრნენ ციმბირში, სადაც მათ თავი ისახელეს.

ზესტაფონის რაიონში ახლახან ომსკის ოლქის ნოვოვორონეჟსკის რაიონიდან მოვიდა ბარათი და „ილია ფურცელი“, რომელიც ასეა დასათაურებული — „კომკავშირელი შუქურები 1972 წლის მოსავლის აღებაში“. იქ ნათქვამია:

„პურეულის მოსავლის აღებასა და საზოგადოებრივი მეეხოვლეობისათვის საკვების მარაგის შექმნის ცხარე დღეებში თავდადებული შრომის კარგ მაგალითებს იძლევიან და ღირსეულად მუშაობენ მძღოლები, კომკავშირელები რვეგზ სინოს-ძე ლომძიე და გიორგი შალვას-ძე გაჩეჩილაძე. თვითეული მათგანი სასოფლო-სამეურნეო ტვირთის გადატანის დაგალებას 140-160 პროცენტით ანაღდებს და ამასთანავე უწუნოდ მუშაობენ, უდანაკარგოდ გადაჰქონთ პურის ყანებიდან მოსავალი.

პირადი მაგალითით, მაღალი შეგნებულობითა და საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობით კომკავშირელები რ. ლომძე და გ. გაჩეჩილაძე გავლენას ახდენენ თავიანთ ამხანაგებზე. ისინი ღირსნი არიან პატივისცემისა და დაფასებისა. მათზე სიყვარულით ამბობენ — ქართველი ვაჟკაცები პურის ფრონტის გვარდიელები არიანო.

მძღოლებო! მიბაძეთ რ. ლომიძესა და გ. გაჩეჩილაძეს- მიაღწიეთ ახალ წარმატებებს სახელმწიფო დავალებების შესრულებაში!“... სამშობლო ამაყობს ასეთი პატრიოტებით.

პ. ჭიოკაძე.

„სკოლა და ცხოვრება“ № 11

გამოვიდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყოველთვიურ, სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ მორიგი, მეთერთმეტე ნომერი.

ქვითრით მკრეფავები

ძაბული, აუუ, ძაბული!.. სადა ხარ, გოგო, არ მოდიხარ ჩაიში?

— ჟუჟუნა ხარ?.. არა, დღეს ვერ წამოვალ.

— რა მოგვიდა, ავად ხომ არა ხარ?

— არა, მარა ვერ წამოვალ, არა მცალია.

— წამოდი, წამოდი. ამისთანა დღეს კაცი გააკლენს!

— მოგიცია ერთი შენ! არ მეყო, რაც წელი და გული მოვიწყვიტე?

— დღეს შენ რა ხასიათზე ხარ?!

— ძალიან კი ხასიათზე ვარ, როგორც იქნა, ვისწავლე ჭიკა მეც.

— არ გამავებინეს, რა გეჭირს, ადამიანო?

— გეტყვი ყველაფერს, ჩამოჯექი აგერ. ჩვენ ჯერში ვზივართ თურმე, გაკითდა ხალხი. მე და შენ მთელი დღე ამ მზისა და თაკარაში ბლანტაციაში რომ ვართ და ოფლში ვიწურებით, ზოგი ზის აგერ ჩრდილში და ჩვენზე მეტი აქვს მოკრეფილი.

— მერე! რანაირად?!

— ყიდულობენ თურმე ჩაის ფოთოლს, აბა!

— ყიდულობენო?! როგორ, ხად, ვისგან?

— გითხრა აგერ. მისცემ ფულს მწონავს ან ბრიგადირს, მიუტანს ჩაის ფაბრიკაში, გამოაწერინებს ქვითარს და ჩაგაბარებს. პირადადაც შეგიძლია მიხვიდე, გადიხადო ფული და წამოიიღო ქვითარი, მიიტან ჩვენთან კანტორაში და მორჩა...

— ეს რა მესმის!.. კი მარა, ფული თუ გადაგიხადე, ეს რა გამოვიდა.

— ფულიანს კი არ გაბღვენინებენ. იმ ფულს მერე კაცდილზე მიიღებ და პრემიაც დაგემატება.

— უყურე შენ!

— ბევრი კოჩარაში აწე აკეთებს ოფრმე, ჩვენ კი ჩავაკლიათ თავი ამ ზაფხულს პლანტაციაში.

— რას არ გაიგონებს კაცის ყური. ჩვენმა თავმჯდომარემ თუ იცის ეს ამბავი?

— იცის, აბა არა! წაგენის მოგონილია ყველაფერი.

— ვინ მაგენის?

— კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და ჩაის ფაბრიკის დირექტორს მოულაპარაკებიათ. ასე და ასეო, დავადებინოთ კოლმეურნეებს ფული, გამოვიწეროთ ქვითრები, ვითომ ჩააბარეს სახელმწიფოს ჩაის ფოთოლი. ჩვენ ფულს ჩავიჯიბებთ, ვეგმასაც გადაჰარბებით შეიასრულებთ და ხალხიც ამაყოფილი გვეყოლებაო.

— არა, ჩვენი თავმჯდომარე მასეთ საქმეში არ ვაერეოდა.

— არ იცი შენ, თავმჯდომარე თვითონ აქეზებს ხალხს თურმე, წაიღოთ ფული, თუ არა ბიჭეო, ავანსს მოგიცემთ კოლმეურნეობიდან, ეყიდეთ ჩაის ფოთოლი და შემასრულოთ ვეგმაო.

აქ მოყვანილი დიალოგი, რა თქმა უნდა, სტენოგრამეთილი ჩანაწერი არ არის, მაგრამ არც საეჭვოდ და საეჭვებოდ არის შეთხზული. იგი სისხლის სამართლის მრავალტომიან საქმეში არსებული მასალებიდან, კერძოდ, მოწმეთა ჩვენებებიდან არის ამოღებული და საკმაო სიზუსტით ასახავს იმ ვითარებასა და განწყობილებას, რაც იმ პერიოდში სოფელ კოჩარაში იყო შექმნილი.

კოჩარა სილამაზით და სიმდიდრით გამოსარჩევი სოფელია არა მარტო ონამიერის რაიონში, არამედ მთელ საქართველოშიც. რა გიხდა, რომ აქ არ ხარობდეს: ციტრუსები, ჩაი, სიმინდი, თამბაქო, ხეხილი. დოვლათიანობითა და შემოსავლიანობით კოჩარელმა კოლმეურნეობამ უპირატესობა მაინც ჩაის მისცეს და სხვა კულტურებზე მეტიც გააშენეს თავიანთ მიწაწყალზე. ახლა აქ 460 ჰექტარი პლანტაციიდან 2.800 ტონა ჩაი მოჰყავთ ყოველწლიურად. ამდენი ნედლეულის გადასამუშავებლად სოფელში ჩაის ფაბრიკის აშენების საჭიროება წარმოიშვა და ამ ათიოდე წლის წინათ კიდეეც ააშენეს.

მალე ეს ფაბრიკა ისეთ მახლობელ და საყვარელ საწარმოდ იქცა კოლმეურნეებისათვის, როგორიც მარანი და საწნახელია მევენახე კაცისათვის. მოკრეფდნენ ჩაის ფოთოლს, იქვე ჩააბარებდნენ ფაბრიკას და საკუთარი თვალით ხედავდნენ, როგორ იქცეოდა მათი ნაოფლარი და ნაჭირნახულევი საყოველთაო მოხმარების პროდუქტად. მრავალი წლის განმავლობაში ქმაოფლელების მომგერელი ამ ფიქრის გარდა აზრად არაფის მოსვლია წარმოებისა და ნედლეულის მიმწოდებელი მეურნეობის ურთიერთობაში სხვა რამ ფიქრი და ზრახვა ჩაედო, ისე, როგორც წინათ მევენახე და მეღვინე კაცს ფიქრად არ მოუვიდოდა ყურძნისა და საწნახელის შეა შაქარიც ეგულისხმა და ეკარიუნდა.

მაგრამ იმ დროიდან მოკიდებული, როცა კოჩარის ჩაის ფაბრიკის დირექტორად დამიტრი ნადირაძე დანიშნეს, ხოლო კოლმეურნეობა „საქართველოს“ გერმანე ფიცხელიაძე ჩაუდგა სათავეში, მეურნეობისა და საწარმოს ურთიერთობაში საიდუმლო ხვრელები გაჩნდა, რომლებშიც, ეტყობა, იმთავითვე ფული ტრიალებდა. მერე ეს ხვრელები თანდათან გაფართოვდა, გასრულდა და გვირაბად იქცა.

ამ გვირაბით ჩაის ფაბრიკაში შეჰქონდათ და გამოჰქონდათ საქმიანი და უსაქმო ქაღალდები და, რაც მთავარია, ამ ქაღალდების მეშვეობით — ფული! და ამას აკეთებდა ვისაც ფულის ოლად შოვნა უნდოდა — დირექტორი, თავმჯდომარე, ცენტრალური მიმღები პუნქტის გამგე, ბრიგადირი, მწონავი, კოლმეურნე.

იმ ზაფხულს ლატარიის ბილეთებზე უფრო იოლად და სწრაფად გრიალდებოდა სოფელში კოჩარის ჩაის ფაბრიკის მიერ გამოშვებული ჩაის ფოთლის დამზადების ყალბი ქვითრები. იოლად საღდებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ლატარიის ბილეთით ბედ-იღბალს უნდა ეთამაშო, ეს ქვითარი კი მოგების სრულ გარანტიას იძლეოდა.

ამ ქვითრების გავრცელების მასშტაბზე მკითხველისათვის ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად საკმარისია ითქვას, რომ მარტო 29 დღეში, ისიც სექტემბერში — ჩაის კრეფის სეზონის მიწურულში, კოჩარის ჩაის ფაბრიკამ გასცა ყალბი დოკუმენტები, თითქოს კოლმეურნეობა „საქართველოდან“ გადასამუშავებლად მიიღო 63.387 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ამ ე. წ. უსაქონლო ოპერაციის გზით ყალბისმქნელებმა სახელმწიფო სალაროდან გაიტანეს და მითვისეს 60.000 მანეთზე მეტი.

ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს იპარპაშებდნენ ეს ყალბისმქნელები, რომ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებს ფარდა არ აეხადათ მათი ბნელი საქმეებისათვის.

სახელმწიფო ქონების დამტაცებელთა ძირითად ჯგუფში, რომლებიც უკვე გასამართლებული არიან, შედიოდნენ კოჩარის ჩაის ფაბრიკის დირექტორი დიმიტრი ნესტორის-ძე ნადირაძე, კოლმეურნეობა „საქართველოს“ თავმჯდომარე გერმანე ბიქტორის-ძე ფანცულაია, ფაბრიკის ცენტრალური მიმღები პუნქტის გამგე გული მაკარის-ძე რიგვავა, კოლმეურნეობის ბრიგადირები — გიორგი გერასიმეს-ძე მანია, პეტრეგან გრიგოლის-ძე ვეკუა, ანდრია ანდრიას-ძე წეიტა, ალადიმერ სამსონის-ძე ბოჭორიშვილი, ფოთა ალექსანდრეს-ძე ეკეკა, ჩაის მწონავები — ალექსი ათანასეს-ძე კვარაცხელია, აკაკი ნესტორის-ძე ჯიმიდავა, ვალიკო სამსონის-ძე ბოჭორიშვილი, გიორგი მიხეილის-ძე ფიფია, ალიოშა კაპიტონის-ძე ვეკუა და სხვები, მათ შორის დაბაღულში ჩითრეული ამომჩნდა ზოგიერთი მასწავლებელი და ექიმიც კი.

საკითხავია, რაიონის ხელმძღვანელობა თათბირებსა და შეკრებებზე მოწინავეთა რიგებში რომ ასახელებდნენ და ქებით იხსენიებდნენ კოჩარელ მეჩაიეებს, რაიონული გაზეთის ფურცლებზე ხოტბას რომ ასხამდნენ მათ, ან რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქართველოს ჩაი“ კოჩარის ჩაის ფაბრიკას სწორედ ამ პერიოდში ეკონომიისთვის 14.000 მანეთის პრემიას რომ აძლევდა, რა მონაცემები ჰქონდათ მხედველობაში? ნუთუ ისევ იმ ყალბ დოკუმენტებს ეყრდნობოდნენ, რის მეოხებითაც ეს ბოროტმოქმედნი სახელმწიფო სალაროს ძარცვავდნენ?

მ. მიქაძე,
გ. მეგრელიშვილი.

ალმაფრენა

ჩუმად! ვილაც მღერის მთაზე,
რა ძალაა ამ ტკბილ ხმაში...

ბალაკტიონი.

როგორ მინდა ეს წერილი ისეთიდაგვე უბრალო და ლამაზი გამოვიდეს, თავად მისი გმირები რომ არიან.

...თავიდან არცერთს არ უფიქრია, რომ მათი პროფესია სიმღერა გახდებოდა. 1955 წელი იყო. თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში ვოკალური კვარტეტი ჩამოაყალიბეს. სტუდენტები იყვნენ, ემღერებოდათ და მღეროდნენ. მოგზაურობდნენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში.

1961 წელს ანსამბლი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიამ მიიწვია და გაფორმდა როგორც პროფესიული კოლექტივი. მართალია, კვარტეტიდან ორი წევრი წავიდა, მაგრამ ჩვენს კუთხეში ნიჭიერ მომღერალს რა გამოლევს! მალე ბუბა კიკაბიძე მოვიდა, მერე ნანი ბრეგვაძე შეემატა ჭაბუკებს და შეიქმნა შვიდი. მამაკაცისა და ერთი ქალისაგან შემდგარი ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი, მას შემდეგ ხალხის სიყვარული რომ დაპყრობა მეგზურად.

„ორერამ“ უკვე ხუთიდე კონტინენტის ოცდათოთხმეტი ქვეყანა მოიარა. სად არ უმღერია ამ ხნის მანძილზე ანსამბლს. დიდ თუ მცირე დარბაზებში, პროსპექტ მოიდნებზე, სამხედრო წყალქვეშა გემებზეც კი. ავიაციაში გასტროლების დროს „ერფრანსის“ ავიაკომპანიის თხოვნით პირდაპირ თვითმფრინავში გამართეს კონცერტი.

ძირითადმა პროფესიამ — უცხო ენამ ანსამბლის წევრებისათვის ადვილი გახადა მრავალი ქვეყნის სიმღერების შესწავლა. სწორედ ამიტომ არის, რომ „ორერა“ დღისდღეობით უკვე მსოფლიოს „ოცდარო ენაზე მღერის“. და კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: ანსამბლს ტრადიციად აქვს კონცერტის მთელი პროგრამა, თვითეული წევრის დახასიათება, ჩვენი ეროვნული მუსიკალური წარსული თუ დღევანდელობა მაყურებელთა დარბაზს იმ ენაზე მიაწოდოს, რომელ ქვეყანაშიც იმყოფება.

საყოველთაო აზრია, რომ „ორერა“ თვითმყოფი ანსამბლია. თვითმყოფობის მისაღწევად კი უდიდესი შრომაა საჭირო. სწორედ ასეთი შრომა მოუხდა ანსამბლს მისი უცვლელი რეჟისორის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ავთანდილ გელოვანის ხელმძღვანელობით. და აი ნაყოფიც. „ორერას“ წევრებმა პირველებმა ქართულ ესტრადაზე შექმნეს მუსიკალურ-სანახაობრივი ანარი: როდესაც სიმღერა სრულდება არა მარტო როგორც სიმღერა. არამედ ხდება მისი სცენური ხორცშესხმაც.

* * *

„ორერა“ ერთ-ერთი საუკეთესოა იმათ შორის, რაც კი ოდესმე უნახავს მონრეალს“. კანადის პრესის ეს გამოსმაურება ჩვენს ანსამბლზე მისმა ერთ-ერთმა წევრმა ზურაბ იაშვილმა მაჩვენა. მანვე გადმომცა აკურატულად აკინძული ამა თუ იმ ქვეყნის ჟურნალ-გაზეთების რეცენზიები და მოკლე გამონათქვამები „ორერას“ მისამართით. აი რას წერს „ლიტერატურნაია გაზეტა“: „შეიძლება დაბეზითებით ითქვას, რომ ეს ანსამბლი სამართლიანად იკავებს ერთ-ერთ წამყვან ადგილს საბჭოთა ესტრადაზე“. ახლა ავსტრალიური პრესა ვნახოთ: — „ორერამ“ არა მარტო შესანიშნავი ქართული სიმღერები, არამედ თავისი ქვეყნის უძველესი მუსიკალური კულტურაც ააცილო მსმენელებს“. — თავისი საშემსრულებლო ოსტატობით „ორერა“ ძალიან თავისებური კოლექტივია... უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია, მისი განუმეორებელი პროფესიონალიზმი“... — ეს ციტატი ინგლისური პრესიდან გახლავთ. ჭიბათა-ჭიბა უამრავია და თანაც ერთმანეთზე უკეთესი.

...ჩვენ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სარეპეტიციო დარბაზში ვართ. დიდი წარმატებების, მაგრამ მაინც თამაშვილი გასტროლების შემდეგ ანსამბლის წევრებს მოკლედ ანი შეებულება აქვთ. მაგრამ რა გგონიათ? ეს შეებულებაც ახალი პროგრამის მომზადებას უნდა მოანდომონ.

რეპეტიციის შემდეგ მე და რობერტ ბარძიმაშვილი აუჩქარებლად მივყვებით პლეხანოვის გამზირს. ვსაუბრობთ აქეთურზე, იქითურზე, ანსამბლის წევრების მეეობრობაზე ჩამოვუდგ სიტყვა.

— იცით რა გითხრათ? — მეუბნება რობერტი, — ამას წინათ ჟურნალ „მუზიკალნაია ჟიზნის“ კორესპონდენტმა ასეთი კითხვა დაგვისვა: — რა გაერთიანებთ ანსამბლის წევრებს? ჩვენ ვუპასუხეთ: — დიდი მეგობრობა, მშობლიური კულტურის დიდი სიყვარული... ერთი სიტყვით, საქმის სიყვარული.

შემდეგ ვთხოვე ითქვა თავისი აზრი ანსამბლის წევრებზე.

— აბა როგორ გითხრათ... აი თეიმურაზ დავითაიასაგან დავიწყებ. ვიცი არ ეწყინება, თუ ვიტყვი, რომ იგი ჩვენი აღზრდილიც არის. ადრე ეკაკვით იყო გატაცებული. ახლა შეიძლება არც ნანობს, რომ ეკაკვას სიმღერა ამჯობინა. იგი ჩვენს შორის ყველაზე უმცროსია. ძალიან მუსიკალურია, ყველა ჩვენგანზე პლასტიკური და მოძრავი.

ზურაბ იაშვილი კი ადრე სპორტით იყო გატაცებული. მოვიდა ჩვენთან და ახლა უომისოდ ძნელია... კიდევ ერთს გაგიმეორებ ანსამბლის წევრებს შორის ზურაბი ყველაზე ცხარე მოკამათეა...

შემდეგ როგორია? დიახ, ჯენო ნადირაშვილი. იგი ჩვენთან მოგვიანებით მოვიდა. ჯენოსათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს ნებისმიერი ინსტრუმენტის დაკვრა. ყოველი ახალი პროგრამის პრემიერის დაწყების წინ ჯენო იატაკზე წამოწვება ხოლმე. რა თქმა უნდა, რომ გავიმხნევოს, მოელვარება გაფანტოს. სოპოტის ფესტივალზე, მაგალითად, სცენაზე გასვლის წინ ძალზე ვღელავდით, გავხედე ბიჭებს — არც ერთს ფერი არ ედო.



ზ ს ურ ა თ ებ ზ ე: „კომუნისტის“ ფოტოკონკურსისათვის გამოგზავნეს ჩვენი გაზეთის მკითხველებმა. „ბასმირნმბა“ — ასე უწოდა თავის ნამუშევარს (ზემოთ მარცხნივ) სოხუმელმა ზეინკალმა ბ. ჭურწუმიამ; წულკაიძელმა ა. ფარულავამ კონკურსზე ორი ფოტოსურათი გამოგზავნა — ერთს „შერკინებაკ“ (ზემოთ მარჯვნივ) დაარქვა, ხოლო მეორეს — „შეხვედრის ციმბ-ცხელებაკ“ (ქვემოთ მარჯვნივ) უწოდა; ხულოელმა შ. ართმელაძემ თავის ფოტოსურათს „რას ეჩურჩულებაკ?“ (ქვემოთ მარცხნივ) უწოდა.

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსზე

ბავშვები და ცხოველები

სპორტი

დიდ ტურნირებზე

ჭადრაკი

ბაკო. ქვეყნის ვაჟთა ჩემპიონატის შორის ტურნირში ორი გამარჯვება მოიპოვა ტუკმაკოვმა — შამკოვიჩთან და რაშკოვსკისთან. გათამაშების ლიდერმა — ალმა-ატელმა ოსტატმა მუხინმა დაამარცხა ვასიუკოვი, ხოლო კაპენგუტთან ყაიმს დასჯერდა. ეს ნახევარქულიანი „დანაკლისი“ საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მუხინს დაწოდა ოდესელი გროსმაისტერი ტუკმაკოვი. ახლა ორივე ლიდერს 4,5-4,5 ქულა აქვს ექვსი ტურის შემდეგ.

დანარჩენ პარტიებში ასეთი შედეგები იქნა ფიქსირებული: ფურმანმა დაამარცხა შამკოვიჩი, კუზმინმა — ზილბერშტეინი, ალბურტმა — ბაგიროვი. ყაიმი იქნა ფიქსირებული ხოლმოვ-ჯინჯიხაშვილის, ბაგიროვ-გუფელდის, ბრონშტეინ-ბალაშოვის, ხოლმოვ-რაზუვაევის და გრიგორიანტალის შეხვედრებში.

ტოლიატი. ქალთა საკავშირო ჩემპიონატზე ნათამაშევია 15 ტური. დაძაბულობა არ ცხრება. თოქცა სპრინგი ადგილების პრეტენდენტთა რიცხვი ერთობ „შეთხელდა“, ლიდერთა ჯგუფში კვლავინდებური სიმჭიდროვეა.

განვლილი კვირა ლიდერთა ცვლით აღინიშნა — ლენინგრადელმა სტუსწორედ ამ დროს გენო თავისი ბასგიტარით იატაკზე დაჯდა. ყველა გვამხიარულდით და მხნეობაც შეგვემატა...

ვიტალანგი, ჩვენი ბუბა კიკაბიძე ალბათ გახსოვთ ადრე „დიელოში“ მეეროდა. ბუბა ცხოვრებაშიც ისეთივე მხიარული და საყვარელია, როგორც სცენაზე. ანსამბლში მას „ფანტაზიორს“ ვეძახით. მართლაც, მის ფანტაზიას საზღვარი არა აქვს. ავიღოთ თუნდაც პოპულარული სიმღერა „ჭიანსაკნილი მეფაიტონე“. ამ სიმღერის შექმნის იდეა სწორედ ბუბას ეკუთვნის.

თეიმურაზ მელვინეთუხუცესი მხიოვანი ქართველი კომპოზიტორის კონსტანტინე მელვინეთუხუცესის შვილიშვილია. იგი ჩვენთან ესტრადის ერთ-ერთ საუკეთესო პიანისტად ითვლება.

ალექსანდრე მანჯგალაძე კი ყველა სახის საქმიანობა და ფლეიტას თავისუფლად უკრავს. იგი ჩვენი ანსამბლის ახალი წევრია და ძალზე ნიჭიერიც.

და, ბოლოს, ვფიქრობ ერთი ქალი ნანი ბრეგვაძე. ნანის მოსვლამ ანსამბლს სინაზე და ლირიულობა შემატა. გარდა ამისა, ნანი ბრეგვაძე, თვითონ იცით, როგორი მომღერალიც არის...

...თავის თავზე არაფერი მითხრა. არც მე დავაძალე. ანსამბლის წევრებისაგან უკვე ვიცოდი, რომ რობერტ ბარძიმაშვილი თავისი საქმის ფანატიკურად მოყვარულია, იგი არა მარტო ხელმძღვანელია სახელგანთქმული ანსამბლისა, არამედ მისი სული და გულიც.

ახლა ახალ პროგრამას ამზადებს „ორერა“. წინ დიდი გზებია, ბევრი გამარჯვებებია. ყოველი გამარჯვება ალალია მათზე. ამ გზებზე აღმაფრენით მიდის „ორერა“, რომ პლანეტის ყველა კუთხეში ისმოდეს მადლიანი ქართული პანგები. ამ აღმაფრენის მიზანიც ერთია: ყველამ გაიგოს, რომ „არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში“.

ვ. მარდალეიშვილი.

* * *

სურათზე: მღერის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ორერა“; მარცხნიდან — რ. ბარძიმაშვილი, ზ. იაშვილი, ვ. კიკაბიძე, თ. დავითაია, ჯ. ნადირაშვილი.

ფეხბურთი

უკანასკნელი რეპეტიცია

ოჩამჩირე. („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). გუშინ აქ გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი სსრ კავშირისა /და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჯაბუკთა ნაკრებ გუნდებს შორის.

სოხუმელი მსაჯის ა. მილჩენკოს ნიშანზე მოასპარეზენი შემდეგი შემადგენლობით გამოვიდნენ:

სსრ კავშირის ნაკრები — რ. ახტიამოვი (ბაქოს „ნეფტჩი“), ა. ეგოროვი (ცსკა), ა. ბუბნოვი (მოსკოვის „სპარტაკი“), ს. ინიკიანი და ი. კომაროვი (მოსკოვის ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლა), ა. ნოვიკოვი (მოსკოვის „დინამო“), ს. პეტროსიანი (ერევნის „არარატი“), ს. პეტრენკო (მოსკოვის ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლა), ვ. პავლენკო (მოსკოვის „დინამო“), ა. კლიმოვიჩი (მინსკის „დინამო“), ვ. გიზაევი (ორჯონიკიძის „სპარტაკი“).

გდრ-ის ნაკრები — ე. კრეიცერი, გ. დებერი, ვ. რამლოვი, უ. შმიდტი, ე. ალმე, მ. დონიკე, გ. ოაუგუსტი, ი. კამფი, ი. რადიგერი, გ. შარტე, მ. გოფმანი.

პირველი ტაიმი იწურებოდა, ანგარიში კი არ ჩანდა. და აი, შვეიცარიამდე ერთი წუთით ადრე სტუმრებმა წარმატებას მიაღწიეს — ბურთი მცველმა უ. შმიდტმა გაიტანა.

საბჭოთა ფეხბურთელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ თამაშის მეორე ხახევარში შეძლეს არა მარტო გაეთანაბრებინათ ანგარიში, არამედ მოეგოთ მატჩიც. პირველ შემთხვევაში (71-ე წუთზე ლომაზი კომბინაციის შედეგად ეს მოახერხა ა. კლიმოვიჩმა, ხოლო შემდეგ (80-ე წუთზე) თავი ისახელა ს. პეტროსიანმა — 2:1.

მეორე ტაიმში სსრ კავშირის გუნდში თამაშობდნენ ა.გრეგორეკ, ვ. კრუგლოვი (მოსკოვის ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლა), ს. ბომიაკოვი (ლენინგრადის „ზენიტი“) და ო. გიგოლაშვილი (თბილისის ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლა).

ი. გოგეჩია.

ფრანგული ტელევიზია

26 ნოემბერი

პირველი პროგრამით

10.05 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 10.15 — კინონარკვევი „ფიზიკა პატარებისათვის“, 10.30 — ფერადი ტელევიზია „მოსწავლეთათვის — „მოვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „ბავშვებისათვის კონცერტი, 12.00 — „ოსტატება ქალაქი“ (გადმოცემა ტალინიდან), 13.00 — საბტელევიზიო ჟურნალი მოსწავლეთათვის „კოცონი“, 13.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „მულტეურანი“, 14.00 — საესტრადო კონცერტი, 14.30 — „კინოაფიშა“, 15.00 — დოკუმენტური ფილმი „ფარაჯა და ფრაკი“ (ქართულ ენაზე), 16.05 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. კინოალმანახი „ვარსკვლავა“ № 1, 16.35 — საქართველოს ფერადი ტელევიზია ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი: „ყვავის ქუჩის რესპუბლიკა“, 18.00 — ფერადი ტელევიზია. „კინომოგზაურობის კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „ეთერშია ახალგაზრდობა“ — „ახალგაზრდები ახლის ძიებაში“, 19.20 — „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“, 20.00 — კინონარკვევი, 20.10 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „მუსიკალური პროგრამა „მეგობრების მუსიკალური ავტოგრაფები“, 21.00 — „ოქროპირი“ — სატირულ-იუმორისტული ჟურნალი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“, 23.10 — „სსრკ-50“. „მოძმე რესპუბლიკების კინოხელოვნება“ — უზბეკეთი.

მეორე პროგრამით

19.05 — მხატვრული ფილმი „უანგარო სიყვარულის ბილიკზე“, 20.25 — კონცერტი, 21.05 — საბტელევიზიო ფილმი „შეხვედრამდე.“

27 ნოემბერი

პირველი პროგრამით

16.45 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 17.45 — „ურღვევი კავშირი“ — მარის ასსრ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „ცეროდენას ეკრანი“, 18.45 — ბავშვებისათვის — „გაბედული ფოტომონადირე“, 19.00 — განცხადებები, 19.05 — „სამართლის ცოდნა მასებს“ — მტკიცედ დავიცვათ შრომის კანონმდებლობა“, 19.20 — „ხვალ — რადიოთი“, 19.25 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „შეხვედრები ოქროს რთველში“, 19.55 — სპორტული პროგრამა, 20.35 — „თბილისი და თბილისელები“ — ჩემი ბინის აივნიდან (განმეორებით), 21.10 — „მომამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.35 — კონცერტი, 22.10 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (ვიდეოჩანაწერი), 22.45 — „აბა თქვენ იცით, ჭაბუკებო!“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

17.05 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკა (მოლეკულურ-კინეტიკური თეორიის ძირითადი განტოლება); 17.50 — საქართველოს ისტორია — საქართველო XIII საუკუნის პირველ მეოთხედში, 18.35 — განცხადებები, 18.40 — ლექცია სტუდენტთა დასახმარებლად — ზოგად ქიმიაში; 19.40 — ლექცია ფილოსოფიაში, 20.25 — საბტელევიზიო ფილმი — „უკანდასასვლი გზა მოჭრილია“ (I სერია).

თეატრები

26 ნოემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ბებია და შვილიშვილი (დღისით), **იოლანდა** (საღამოს); **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — გვადი ბიგვა** (დღისით), **ბებერი მეზურნეები** (საღამოს); **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — მოულოდნელი სტუმარი** (დღისით და საღამოს 6 ს.); **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მზის დაბნელება საქართველოში** (დღისით და საღამოს); **ვახტანგ აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — შვიდნი ძმანი გურჯანელნი** (დღისით), **მარიცა** (საღამოს).

ტელევიზია

26 ნოემბერი

პირველი პროგრამით

10.05 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 10.15 — კინონარკვევი „ფიზიკა პატარებისათვის“, 10.30 — ფერადი ტელევიზია „მოსწავლეთათვის — „მოვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — ბავშვებისათვის კონცერტი, 12.00 — „ოსტატება ქალაქი“ (გადმოცემა ტალინიდან), 13.00 — საბტელევიზიო ჟურნალი მოსწავლეთათვის „კოცონი“, 13.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „მულტეურანი“, 14.00 — საესტრადო კონცერტი, 14.30 — „კინოაფიშა“, 15.00 — დოკუმენტური ფილმი „ფარაჯა და ფრაკი“ (ქართულ